# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 27 მარტი, 2010 წელი.

№57 (6423)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# რას უდრის მიშასთვის გმირობის კოეფიციენტი?



მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილის ტრაგიკული სიკვდილი, რაგბის ქართველი ბორჯღალოსნების მიერ რუსეთის გუნდის დამარცხება, ფილიპინებში დაკავებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლება... ხომ არ შეიძლება ყველაფერი პრეზიდენტის პიარ-აქციად იქცეს?!

## როდის იყო გულწრფელი პრეზიდენტი - განმუხურში თუ გორში?

...და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, შეურაცხყოფილი ერი შეურაცხმყოფელად დუმს და ამის გამო სულაც არ არის შეურაცხყოფილი ქვეყნის პრეზიდენტი. ისე კი, თანდათან, წვეთ-წვეთად, უგრძნობლად იმსხვრევა „გმირი“ მიშას ხატება



4





## ბალერონების იაპონური ოდისეა

3

## პირველი საერთაშორისო დიზაინის კომერციული და სახელმწიფოებრივი ხიბლი

GEORGIAN FASHION WEEK

3

## 2 რა პრობლემები აქვს ქართულ მედიას და რითი შეიძლება მოიწონოს თავი ევროკავშირის წინაშე?



7

ბესიკ ხარანაული:

## დამლუპა გივი შაჰნაზარმა, ზოგ-ზოგს უკვე ნობელის პრემიის ლაურეატი ვგონივარ





5

## 2012 წლის გამო გამოთქმული ყველა შემაშფოთებელი პროგნოზი უსაფუძვლოა

№ 57. შაბათი, 27 მარტი, 2010 წელი.

ბრიფინგი

# თემურ შაშიაშვილი: სოციალური დემაგოგია — „კუბში“

**გუშინ მოძრაობის ოფისში „თეთრების“ ლიდერებმა ბრიფინგი გამართეს და სამ აქტუალურ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება: სად გადის წყალგამყოფი ქართულ და არაქართულ ინტერესს, ქართულ და არაქართულ პოლიტიკურ ძალას შორის და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დღეს პოლიტიკური ძალა, რომ იგი ქართულად იწოდებოდეს?**



თემურ შაშიაშვილი: „დავფიქრდით, სახელისუფლებოდ დაწყებული, ოპოზიციით დამთავრებული, ყველას, პარტიის სახელწოდებაშიც კი სიტყვები: „ნაციონალური“, „ეროვნული“, „ქართული“ აქვს გამოტანილი. ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის გარედან იმართება — ტვინს გვიჭამს, რომ ქართულ საქმეს აკეთებს, რომ ქართულ სახელმწიფოს ემსახურება. ასევეა ოპოზიციაც, რომელიც რუსეთში დარბის, ისიც, ვინც ამერიკის ხელისუფლების კარზე მონურად დგას, ქართულ პატრიოტიზმზე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გესაუბრება.

ოპოზიციად წოდებული ყველა პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსი პატრიოტიზმით ხსნის ხელისუფლებასთან ლანძღვასაც და ხელისუფლებასთან ღია თუ ფარულ თანამშრომლობასაც“, — განაცხადა შაშიაშვილმა. ალბათ ყველა ღირსეული და ღოაზროვნე ადამიანისთვის ღირს ამ საკითხზე დაფიქრება და სწორედ ამიტომ ჩნდება ამდენი კითხვა.

ბრიფინგზე ყურადღება გაამახვილეს, ასევე წინასაარჩევნო სოციალურ დემაგოგიაზე, რომელსაც არჩევნების მთავარ იარაღად იყენებენ. „თეთრები“ „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ გახმიანებულ საარჩევნო პროგრამას აკრიტიკებენ. კერძოდ კი, ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფის დაწევის შესახებ, რადგან ეს პროექტი თავის დროზე „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა მოამზადა, პროექტი კი 2003 წელს მთავრობის სხდომაზე გახმოვანდა.

შაშიაშვილის აზრით, მაშინ ამ პროექტის შესახებ გააქილიკეს, დღეს ამით წინასაარჩევნოდ საზოგადოების მოზიდვას ცდილობენ. იგივე ითქმის ქრისტიან-დემოკრატებზე, მერის სამსახურში შეიძლება ტარიფების გაიაფება და როგორ აპირებს ამას „ქრისტიან-დემოკრატების“ მეროზის კანდიდატი, ესეც საკითხავია... აქედან გამომდინარე, შაშიაშვილის აზრით, ხალხი ტყუვდება რეალურად კი შეიძლება საქართველოში დენის საფასური 5 თეთრი იყოს, თუმცა ეს სოციალური დემაგოგია უკვე კუბშია აყვანილი. მაშინ როცა ელექტროენერგია უკრაინაში 5 თეთრს არ აღემატება და ისინი ვინც დენის გამათბოზლით თბებიან, 3 თეთრს იხდიან.

**ხატია მუსერიძე**

— — — — — — — — — — — — — — — — — —

# პრაიმერი თბილისში აპრილში ჩატარდება

**ახლოვდება არჩევნების დღე — 30 მაისი და თანდათან ცოცხლდება პოლიტიკური ცხოვრება. პარტიებს შორის ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ, როგორც იქნა, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ერთიან საარჩევნო კანდიდატზე შეთანხმდა. გააქტიურებული მეროზის კანდიდატები კი ყოველ მეორე დღეს ხვდებიან დედაქალაქის მოსახლეობას და წინასაარჩევნო პროგრამებს აცნობენ. იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს ერთიანი კანდიდატის შერჩევაზე, სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი რომ საკუთარი კანდიდატი დაასახელონ.**



„ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლებმა, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადეს, რომ მარტის ბოლოს უკვე წარმოადგენენ შესარჩევ მეროზის კანდიდატთა სრულ სიას.

პრაიმერი თბილისში აპრილის დასაწყისში ჩატარდება. გამოიკითხება 1500-მდე მოქალაქე და 9 აპრილს გამოცხადდება თბილისის მეროზის ერთიანი კანდიდატი.

გუშინ კონსერვატიული პარტიის ოფისში გამართულ პრაიმერის მთავარ სხდომაზე „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა: „ამ კვირის ბოლოს იწურება რეგისტრაციის ვადა — ვინაიდან 28 მარტს სრულდება რეგისტრაცია, ჩვენ 29 მარტს უკვე გვექნება მონაცემები, საქართველოს რამდენ მაჟორიტარულ ოლქში გვეყოლება კანდიდატი და რამდენ მაჟორიტარულ ოლქში ჩატარდება პრაიმერი“.

შეგახსენებთ, რომ მეროზის შესარჩევ კანდიდატთა შორისაა: „კონსერვატიული პარტია“ — ზვიად ძიძიგური, ხალხის პარტია — კოზა დავითაშვილი, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ — ზურაბ ნოღაიდელი და „მომავლის პარტია“ — გია მაისაშვილი.

**თინათინ ბორცვაძე**

ჩრდილოვანი ანგარიში — 2009

**როგორც ვიცით, 2006 წლის ნოემბერში ძალაში შევიდა სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს გეგმა (ENPAPძ. სწორედ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტით განისაზღვრა ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნები. ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელებას ხელი უნდა შეეწყო ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, მაგრამ საქართველოში წარმოქმნილი სირთულეები სასურველი ხარისხის მიღწევის საშუალებას არ იძლევა. სახელმწიფომ აიღო რიგი ვალდებულებებისა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ დეკლარირების დონეზე. არადა მომავალ წელს უკვე ENPAP-ის მოქმედების ვადა იწურება.**

„ჩრდილოვანი ანგარიში — 2009“ — ასეთი სახით წარმოადგინეს კვლევა გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, რომელიც ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველომ“ დააფინანსა. შედეგებს გასული წლის ნოემბერში გაეცნენ ევროკავშირის, ევროპარლამენტის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამჯერად შევეცდებით გადმოგცეთ, როგორია სამოქალაქო ხედვა დამოუკიდებელი მედიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და რამდენად შეესაბამება ის ევროპის ქვეყნების აღიარებულ სტანდარტებს. ნაშრომის ავტორია ჟურნალისტი ნინო დანელია:

„ევროპის სამეზობლო სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ უმთავრეს სფეროდ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური უფლებების დამცველი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება არის დასახელებული, საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. 2003-2008 წლებში მედიის თავისუფლების ხარისხი უარესდება. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით საქართველოში უარესი ვითარებაა, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამორჩება ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინას, ხოლო წინ უსწრებს რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მე-4 თავში საუბარია მედიის თავისუფლების უზრუნველყოფაზე. კერძოდ „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის ასრულების აუცილებლობაზე. ორგანიზაცია IREX-ის ყოველწლიურ ანგარიშში მფლობელთა გაუმჭვირვალობა სახელდება თავისუფალი მედიის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ უცხოელი ანალიტიკოსი მათიას ჰუტერი თავის კვლევაში წერს: „არსად, არც ევროპაში და არც დასავლეთში არ შემხვედრია შემთხვევა, რომ ქვეყანაში ყველაზე დიდი და ნაციონალური ტელეკომპანიების დამფუძნებელი ორგანიზატორები რეგისტრირებული იყვნენ ბრიტანეთში, ვირჯინიის კუნძულებზე იმ მისამართზე, სადაც მხოლოდ საფოსტო ყუთი დგას. ევროპაში ამის საწინააღმდეგო ნორმატიული აქტიც კი არაა, რადგან ასეთ ფაბრიკაციას არც ერთი ქვეყანა არ მიმართავს“.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ერთ-ერთი ფუნქციაა „თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული გარემოს შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა“, ამჟამად კი კომისიას შეწყვეტილი აქვს სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემა, რაც ზღუდავს მედიასივრცეში ახალი რადიო თუ ტელემაუწყებლობის გაჩენას. ამის მიუხედავად, ქართულ ტელესივრცეს შეემატა ახალი ტელევიზია „რეალ-ტვ“, რომელიც შსს პრესცენტრს გურამ დონაძეს ეკუთვნის, და რომელიც მჭიდროდაა ასოცირებული სახელისუფლებო წრეებთან.

აღსანიშნავია, რომ არ არის კარგად განვითარებული სარეკლამო სივრცე, ამიტომ ტელემაუწყებლოზები ძირითადად დოტაციაზე არიან. ტელეკომპანიების მფლობელებს კი არა კომერციული, არამედ პოლიტიკური მიზნები და ინტერესები აქვთ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ისიც, რომ ბეჭდური მედიის წარმომადგენლები გაზეთის გავრცელების ქსელების არარსებობას, დაბალ ტირაჟებსა და შესაბამისად მწირ შემოსავლებს უჩივიან“.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ რადიოსივრცე, ტელესივრცეზე მეტად თავისუფალია, ასევე თავისუფალია ბეჭდური მედიაც. თუმცა, დაბალი შემოსავლების გამო, პრესის ჟურნალისტებს ტელეჟურნალისტებზე დაბალი ანაზღაურება აქვთ, რაც ართულებს მაღალკვალიფიციური ჟურნალისტების შენარჩუნებას პრესაში.

სხვადასხვა ინიციატივის მიუხედავად, ქართულ მედიაში პროფესიონალიზმის დონე საკმაოდ დაბალია. ჟურნალისტები პროფესიული პასუხისმგებლობის დეფიციტსა და კონფორმიზმს ავლენენ და არა მხოლოდ მათი მფლობელების იდეოლოგიის, არამედ გავლენიანი საზოგადოებრივი ინსტიტუტების, დომინანტური თემების მიმართ. ტელევიზიებთან შედარებით, მეტად ქსენოფობიურია ქართული ბეჭდური მედია. ბეჭდური მედიისთვის ასევე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ინფორმაციის გადამოწმება რამდენიმე წყაროსთან, რაც აძლიერებს სანდოობის დეფიციტს. ხშირად გამოიყენება ზმნები და გამონათქვამები: „უთქვამს“, „შეხვედრია“, „კულუარული ინფორმაციით“ და ა. შ. ეს ქმნის კონტრასტს პროფესიულ სტანდარტებთან, რომელსაც წარმოადგენენ ძირითადად დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის მაღალი რეპუტაციის მქონე მედია-საშუალებები. ამ უკანასკნელთა მიხედვით, მხოლოდ თავისუფალი საჯარო დებატების დახმარებით შეიძლება მოქალაქეები სრულად იყვნენ ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში და ესმოდეთ მათი არსი.

## რა პრობლემები აქვს ქართულ მედიას და რითი შეიძლება მოიწონოს თავი ევროკავშირის წინაშე?

ნაშრომი საკმაოდ ვრცელია და დეტალურად მიმოიხილავს ქართული მედიასივრცის პრობლემურ ნიუანსებს, თუმცა მას დართული აქვს რეკომენდაციები მთავრობისთვის, მედიისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მათ შორის, ევროკომისიისთვის ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია: დამოუკიდებელი მედია-საშუალებების და ინდივიდუალური პროექტების ხელშეწყობის გაგრძელება.

**ევროპელები ისედაც ბევრს ხარჯავენ დემოკრატიული ინსტიტუტების გასავითარებლად, თუმცა ქართული რეალობა უტეხად იცავს იმ სიმახინჯეებს, რაც ასე არ მოსწონთ უცხოელებს. ხელისუფლება ცივილიზებული სამყაროს გასაგონად ხმამაღალი დეკლარირებით იფარგლება, ხოლო საზოგადოება ჯერაც ინდიფერენტულია. ან იქნებ ქვეშეცნეულად ეთანხმება იმ აზრს, რასაც მთავრობა გვაჯერებს: „ჯერ სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა გაძლიერდნენ... ადამიანის უფლებების შელახვის ხარჯზე“?!**

**თეა მოსია**

მუქარა

# „ცხინვალიდან თბილისამდე ერთი საარტილერიო გასროლაა“

**რუსეთის ლიბერალურ დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი აცხადებს, რომ რუსეთის დუმა ყველა ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენს, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთსა და რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორისაა გაფორმებული.**



— ყველაფრის რატიფიკაციას მოვახდენთ. რუსი მესაზღვრეები იმდენად მედგრად იდგებიან საქართველო აფხაზეთის საზღვარზე, რომ იქ თაგვიც ვერ გაძვრება და ჩიტიც ვერ გადაფრინდება. ცხინვალიდან თბილისამდე 60 კილომეტრია, ეს კი ერთი საარტილერიო გასროლაა, საქართველო კონტროლის ქვეშაა და ეს არანაირი დარღვევა არ არის. ჩვენ ვიცავთ ჩვენს სამხრეთ საზღვრებს ასე რომ შეგვეშვით, — აცხადებს ჟირინოვსკი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სათათბირო საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. სახელმწიფო საზღვრების დაცვის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წლით განისაზღვრება და მისი მოქმედების ვადის გაგრძელება ავტომატურად მოხდება. შეთანხმების თანახმად, რუსეთს უფლება ენიჭება ე.წ. სახელმწიფო საზღვრები სრულად გააკონტროლოს, მათ შორის საზღვაო აკვატორიაც. ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციული საზღვრების მთელს პერიმეტრზე რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები განლაგდებიან.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პირველი, საერთაშორისო

# დიზაინის კომერციული და სახელმწიფოებრივი ხიბლი




**26 მარტი, საღამოს 9 საათი, ექსპო-ჯორჯიის საგამოფენო ცენტრი.**

**კომპანია „ფეშენ გრუპი“, სააქციო საზოგადოება მადნეული, კომპანია კვარციტი, საქართველოს ლატარიის კომპანია და „აუთდორ.ჯი“, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის მეუღლის მაკა მეტრეველის ოფიციალური პატრონატითა და პარიზში მოღვაწე ქართველი დიზაინერის ირაკლი ნასიძის პროტექციით წარმოგიდგენთ საქართველოს მოდის კვირეულს, რომელიც, 29 მარტის ჩათვლით მსოფლიოს 20-ზე მეტ სახელგანთქმულ და ახალგაზრდა მოდელს უმასპინძლებს.**

უფრო კონკრეტულად: კვირეული მოიცავს ქართველ, ესპანელ და ფრანგ დიზაინერთა 2010 წლის გაზაფხულ-ზაფხულის (Haute Couture) და 2010 წლის შემოდგომა-ზამთრის (Pret-a-porter) ჩვენებებს, დახურვის ცერემონიალს, შოურუმს, საერთაშორისო მედია ცენტრს (After Party) და კულტურულ ღონისძიებებს სტუმრებისთვის.

საორგანიზაციო ჯგუფის ოფიციალური განცხადების თანახმად, კვირეულის ყველა ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, რათა ღონისძიებამ სრულად შეძლოს საკუთარი ფუნქციის განხორციელება და მიზნის მიღწევა. **პირველი:** ახალგაზრდა დიზაინერების ბაერებისთვის, კრიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის წარდგინება და **მეორე:** საქართველოს, როგორც მოდის საერთაშორისო ინდუსტრიის სრულფასოვან სუბიექტად ჩამოყალიბება.



ეს პროექტი არა მხოლოდ კომერციული, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესის სფეროც გახლავთ. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, დიდი დაინტერესება გამოხატა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ. ამავე მიზნით პროექტი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლის **მაკა მეტრეველის** პატრონატის ქვეშ და ამავე მიზეზით – ცნობილი ქართველი დიზაინერის **ირაკლი ნასიძის** პროტექციის არეალში.

საერთაშორისო დონის ღონისძიების სტატუსს საქართველოს მოდის კვირეულს ანიჭებს კონტრაქტი, რომელიც შარშან, ნოემბერში კომპანია „ფეშენ გრუპმა“ ოფიციალურად გააფორმა ფრანგულ Communications & Cie – Beatrice Manson-თან. ის მოდის ინდუსტრიაში დიდი ხნის „მოთამაშე“ გახლავთ და მისი მონაწილეობით ხორციელდება არაერთი გრანდიოზული პროექტი. მათ შორის: პარიზის, ათენის მოდის კვირეულები, Lolita Lempika, Basil Soda, Guy Laroche და სხვა სახელთა დეფილეები.

მორიგი ფაქტი, რაც საქართველოს მოდის კვირეულს საერთაშორისო სტატუსს ანიჭებს, გახლავთ თანამშრომლობა ისეთ მუსიკოსებთან, როგორიცაა „Mode-F“ ჯგუფი, რომელიც მოდის სფეროსთვის სპეციფიკურ, აუცილებელ ნაწარმოებებს ქმნის და წლების განმავლობაში თანამშრომლობს მოდის ისეთ აღიარებულ ბრენდებთან, როგორებიცაა: Chanel; Harmes; Givenchy; Dior და სხვა.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოს მოდის კვირეული უკვე ითვლება საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებად, ეს არის მსოფლიო მედიის ყურადღება, რომელიც კვირეულის მიმდინარეობისას წარმოჩინდება. საუბარია ისეთ ცნობილ მედიასაშუალებებზე, როგორებიც გახლავთ: Fashion TV. Vogue, L’offciel, Elle, Fashionlnsider, Le Figaro, Gala France, Glamour (USA, L’Express) Style და სხვა მრავალი.

ჩვენებების ხარისხის ამაღლებისთვის „ფეშენ გრუპმა“ მიიღო ასევე გადაწყვეტილება მოდელების დაქირავების თაობაზე არა მხოლოდ ქართული, არამედ ფრანგული და უკრაინული სამოდელო სააგენტოებიდან.

გუშინ საღამოს, პირველი საერთაშორისო გამოფენის გახსნის შემდეგ, მოეწყო ირაკლი ნასიძის მოდების ჩვენება, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. დღეს, ხვალ და ზეგ უცხოელი დიზაინერების მხარდამხარ თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს საშუალება ექნებათ ნახონ **ავთანდილის (ცქვიტინიძის), ირაკლი რუსაძის, ზენკას და მარის, ქეთი ჩხიკვაძის, ლოლიტა მესხის, მახარობლიძე-ოძელაშვილის, ლაკო ბუკიას (გამოფენის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე!), ბიჭოლას, თათა ვარდანაშვილის, გოგა ნიჟარაძის, ლელა კულიანის, ანუკა ქებურიას, თეონა ელიზბარაშვილის, თამუნა ინგოროყვას ნამუშევრები.**

**წარმატებები ვუსურვოთ პირველ საერთაშორისო გამოფენას და ქართველ დიზაინერებს!**

**რუსუდან ქობულია**




მწარე სიმართლე

# ბალერონების იაპონური ოდისეა

***კულტურას რომ საქართველოში დალხენილად არა აქვს საქმე, ყველამ იცის, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა თუ მათ „გაჭირვება“ ქურდობამდე მივიდოდა! თუ ვერ მიხვდით, გეტყვით, რომ 25 მარტს „ალიაში“ დაბეჭდილ ინტერვიუზე ვლაპარაკობ, სადაც საბალეტო დასის ერთ-ერთი და თანაც უცნობი წევრი აცხადებს, რომ გასტროლების დროს ხშირად ქურდობდნენ და იაპონიაში მომხდარი ინციდენტი პირველი შემთხვევა არ ყოფილა, რადგან საზღვარგარეთ ყოფნის დროს ისინი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ შესაფერისი და საკმაო რაოდენობის საკვები, არც ანაზღაურება, რაც ქურდობისკენ უბიძგებდათ.***

თუმცა მშიერი ადამიანი რატომ იპარავს ვისკს და ბანქოს, ინტერვიუში არ წერია. ამ პუბლიკაციის შემდეგ ოფიციალური განცხადება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა გააკეთა:

„2010 წლის 7 მარტს, ქალაქ ოსაკაში, იაპონიაში, საბალეტო დასის გასტროლის დროს, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა დასის მსახიობებმა ბესარიონ შათირიშვილმა, ზვიად ხვედელიძემ და ირაკლი ბახტაძემ ერთ-ერთ სუპერმარკეტში იქურდეს, მოიპარეს სასმელი – ვისკი და სათამაშო კარტი. ქმედება სუპერმარკეტის სათვალთვალო კამერამ და პოლიციის შესაბამისმა ოქმა დააფიქსირა.

ადამიანები, რომლებმაც 2010 წლის მარტში იაპონიაში საბალეტო დასის გასტროლის დროს ჩაიდინეს ქურდობა, ყველა ჩვენგანის სირცხვილს წარმოადგენს. ეს ფაქტი შოკისმომგვრელი იყო. მხოლოდ იაპონელი პროდიუსერების ავტორიტეტისა და ჩარევის შედეგად მოხერხდა, რომ მათზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა.

მიგვაჩნია, რომ საბალეტო ადმინისტრაციის შეცდომა იყო, რომ ეს საქმე არ გახმაურდა დასის გასტროლიდან დაბრუნებისთანავე. ადმინისტრაციამ და დასის წევრებმა დავინდეთ ჩვენი კოლეგები. შედეგად კი მივიღეთ ცილისწამებითა და ტყუილებით სავსე პუბლიკაცია, რომელშიც არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება.

დასის ჩვენთვის უცნობი წევრის გაზეთში განცხადება, რომ დღიურად გასტროლზე მოცეკვავეები იღებდნენ 40 დოლარს, არ შეეფერება სიმართლეს. დასის თითოეული წევრი იღებდა 50 დოლარს, რაც გათვალისწინებულია კონტრაქტით.

ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ უკიდურეს შეშფოთებას, როგორც ამ სამარცხვინო ფაქტის გამო, ასევე პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რომელმაც ყველა ჩვენგანს შეურაცხყოფა მოგვაყენა“.

* * *

ქართველები ხომ ხშირად ვამაყობთ ნიჭიერებით, განსაკუთრებულობით... სამწუხაროდ, იგივე მონდომებას, ნიჭიერებას, და უფრო მეტსაც ვიჩენთ ქურდობაში, აფერისტობაში, ვიღაცების „გადაგდებაში“... სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

არც ისე დიდი ხნის ამბავია, რომ ქართველი ე. წ. კანონიერი ქურდების დიდი ჯგუფი დააკავეს, ბევრს ისევ ეძებენ. ახლა ამ ყველაფერს კულტურის წარმომადგენლებიც დაემატნენ, ხშირად თითქოსდა ხუმრობით ამბობენ, გერმანიაში მაღაზიებში გამაფრთხილებელი წარწერები ქართულად არის გაკრულიო.

თუ „ალიას“ რესპონდენტს დავუჯერებთ, „ქურდობის საკმაოდ დიდი ტრადიცია“ არსებობსო, მაშინ ეს ახლა რატომ გახდა აქტუალური და განხილვის თემა, თუ დასში ადრეც იყო მსგავსი შემთხვევები, აქამდე ვის უმალავდნენ, მაინც და მაინც მსოფლიოს მასშტაბით უნდა მოგვჭროდა თავი? ერთი კარგი ანდაზაა, კაცმა მალა და ჭირმა თავი არ დამალაო. ხომ არ ჯობია „ჭირი“ კი არ დავმალოთ, არამედ ვუმკურნალოთ?

**ანა წიწილაშვილი**




გვწერენ

## მადლობა დალილა ხორავას გამოსარჩლებისთვის

ძვირფასო რედაქცია!

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის ზუგდიდში განთავსებულთა დიდი ნაწილის სახელით, უდიდესი კმაყოფილების და მადლიერების გრძნობით მოგმართავთ, რომ ჩვენს უანგარო მკურნალს, იმედით და რწმენით სავსე პიროვნებას, აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილ მინისტრს, ქალბატონ დალილა ხორავას ობიექტური, ნამდვილად დამსახურებული შეფასება არგუნეთ და საქვეყნოდ გაახმოვანეთ „...რას ერჩიან დევნილთა დედა-ტერეზად მონათლულ დალილა ხორავას?! („საქართველოს რესპუბლიკა“ №53, სამშაბათი, 23 მარტი, 2010 წელი)...

თავად გახლდით იმ თათბირის მონაწილე, როცა ქალბატონი დალილა ხორავას გამოჩენისას დარბაზი ოვაციებით დაინგრა.

დევნილთა სახელით უღრმესი მადლობა რედაქციას და წერილის ავტორს ქეთი ჯაყელს, აგრეთვე ბატონ სოსო ცინცაძეს – ცნობილ პოლიტოლოგს, პროფესორს, რომლებმაც სათანადოდ დააფასეს ჩვენი საყვარელი მინისტრის ტიტანური შრომა.

ქ-ნი დალილა ხორავას ღირსების დაცვა, ჩვენი პირადი ღირსების დაცვად მიგვაჩნია და აღვიქვამთ, როგორც უდიდეს ყურადღებას და პატივისცემას დევნილებისადმი.

გმადლობთ, რომ პატივი დაგვდეთ, განგვიმტკიცეთ იმედი, რწმენა და, რაც მთავარია, სამართლიანობის შეგრძნება. დევნილების „გახლეჩა“ არც ისე ადვილია, როცა ქალბატონ დალილა ხორავას მსგავსი ხელმძღვანელი გვყავს.

უმორჩილესად გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩვენი სამადლობელი წერილი თქვენს გაზეთში.

ზუგდიდის დევნილ პედაგოგთა და დევნილი მოსახლეობის სახელით,

**მერი გეგეჭკორი,**
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

სათქმელი

# რას უდრის მიშასთვის გმირობის კოეფიციენტი?

## როდის იყო გულწრფელი პრეზიდენტი – განმუხურში თუ გორში?

**მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილის ტრაგიკული სიკვდილი, რაგბის ქართველი ბორჯღალოსნების მიერ რუსეთის გუნდის დამარცხება, ფილიპინებში დაკავებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლება...** ხომ არ შეიძლება ყველაფერი პრეზიდენტის პიარ-აქციად იქცეს?! ხანდახან სააკაშვილის ქმედება იმ ოჯახის უფროსის საქციელს გავს, რომელიც ყანწით ხელში სუფრასთან ბაქიბუქობს, გულზე მჯიღს იბრაგუნებს, კაიკაცობის ეტალონად უნდა რომ იქცეს, ხოლო სტუმრების წასვლის შემდეგ უგონოდ საწოლზე მიეგდება და დილით გამოფხიზლებულს არც კი ახსოვს, რა თქვა.

რაც უნდა თავი გამოიდოს პრეზიდენტმა, რომ ხალხის ბედზე მოფიქრალი თავკაცია, 13 მარტის „მომავლის ქრონიკამ“ მის იმიჯზე ერთობ უარყოფითად იმოქმედა, თუმცა ეს საქმე საკმაოზე მეტად ადვილად ჩაიფარცხა და თითქოს ახლა არც არასვის ახსოვს ის ავბედითი შაბათი და უეცარი ელდა, რომელმაც ლამის ყოველგვარი იმედი გააქრო, ტელეკომპანია „იმედის“ გარდა.

უბრალოდ, ერთი წუთით მაინც წარმოიდგინოს ვინმემ რა მოხდებოდა ევროპაში: გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (ან თუნდაც საინფორმაციო გამოშვების დროსძ ეთერში ეჩვენებინათ დღის ქრონიკა, როგორ ვითარდებოდა მოვლენები და როგორ იწყებოდა უცხო ქვეყნის ჯარების მიერ ინტერვენცია. ამას მოჰყვებოდა მასობრივი შოკი, არეულობა და შოკის შემდეგი რეაქცია – შუშების მსხვრევა, ლეწვა და რაც მთავარია, მასობრივი პროტესტი.

რეაქციის ტალღამ საქართველოში მშვიდად ჩაიარა. მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით გული იჯერეს ადამიანებმა, ინტერნეტფორუმებისა და ვირტუალური სამყაროს საჭორაო თემად აქციეს (უშვერი ლანძღვაგინება გააჩაღეს კოლეგებმა „მომავლის ქრონიკის“ სულისჩამდგმელმა ეკა წამალაშვილმა და ნინია კაკაბაძემ და ეს ინტერნეტომი დღესაც გრძელდებაძ.

თუმცა ამ თემაზე წერა და მით უმეტეს ჭორაობა, უკვე ერთობ „გოიმურიც“ კია.

პრეზიდენტმა ლოგიკური ახსნა უპოვა „მომავლის ქრონიკას“ – სულაც არ არის გამორიცხული ასე განვითარდეს მოვლენებიო და ისედაც ტრავმირებული საზოგადოება კიდევ უფრო დაზაფრა.

ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა შეხვედრაზე ასეთი რამ თქვა: უცხოელი მეგობრები დამიკავშირდნენ, რა ხდებოდა თქვენს ქვეყანაში, ლამის, ყველაფერი დავიჯერეთ, თუმცა ეჭვი მაშინ შეგვეპარა, როცა ეთერით გამოაცხადეს, რომ მთავრობა და პარლამენტი ევაკუირებულია, ხოლო პრეზიდენტი ფეხს არ იცვლისო. ანუ ჩვენი პრეზიდენტის დიდგულობისა და გულადობისა უცხოელებს უკვე აღარ სჯერათ, მით უფრო არ გვჯერა ჩვენ.



არადა, რა შეიცვალა მას შემდეგ, არცა რა იმდენი დრო გასულა ვარდების რევოლუციიდან, როცა მიხეილ სააკაშვილი თავის თანამებრძოლებს მედგრად მოუძღოდა პარლამენტის ტრიბუნისკენ და მშვიდობიან გადატრიალებას აწყობდა. სად გაქრა ის უშიშარი ლიდერი, ქარიზმით სავსე პოლიტიკოსი, ვაჟკაცი ბიჭი?! სად წავიდა ის მეთაური გიორგობიდან გიორგობამდე ბრძოლითა და შრომის სურვილით ანთებული თვალებით, ახალი იდეებით გამოჩრეული ხელმძღვანელი, რომელიც დაუპირისპირდა „აჭარის ლომს“ და ისე „გააფარჩაკა“, რომ წარბიც არ შეუხრია?!

ბრძოლა რეფორმებისთვის, მეტროში ხალხთან ერთად მგზავრობა და მათი პრობლემებით დაინტერესება, ჩქარი ნაბიჯებით სიარული – ეს ყველაფერი თითქოს სააკაშვილის ბანალურ თვისებად იქცა. დაცვის ბიჭები ვერ ეწევიან, წინ გარბის, უშიშარია, ასე ამკობდნენ მისით აღფრთოვანებული პრეზიდენტს.

„კურიერის“ მთავარი გამოშვების „ქუდში“ თუ „ქუდამდე“ სიამაყით ვადევნებდით თვალყურს როგორ დაუპირისპირდა განმუხურში ქვეყნის პირველი პირი შეიარაღებულ რუს „კაცთმოძულე“ გენერალ ჩაბანს და მკერდით დაიცვა საკუთარი სამშობლო ლამის საკუთარი სიცოცხლის ფასად. როგორ დაახრევინა თავი დიდი რუსეთის ფავორიტ ჩინოსანს(!ძ.

ამის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა. ეს თავდადება უკანასკნელი აღმოჩნდა ვარდების უსისხლო რევოლუციის გმირისთვის. მის ვაჟკაცობას წერტილი დაესვა. უფრო ლაკონურად თუ ვიტყვით, ყველა ადვილად მიხვდა, რომ ეს იყო ბლეფი, დადგმული სპექტაკლი, ვილაცის მიერ გარანტიამილებული პრეზიდენტის საქციელი, ისეთივე ვირტუალური გმირობა, როგორ ვირტუალურ სამყაროშიც გვაცხოვრებს თავად პრეზიდენტი.

მას გულადობისა არა სცხია რა, რაც ადვილად დაადასტურა მსოფლიოშემოვლილმა კადრებმა, სადაც ის რუსული ბომბებისგან შეძრწუნებული ვნებააშლილი ღეჭავს საკუთარ ჰალსტუხს. ეს შეიძლება რეაქციაა, მაგრამ არა გაწონასწორებული ლიდერის. არც ის რეაქტრია იყო სახარბიელო, როგორ გაწვა მიწაზე ქვეყნის პრეზიდენტი გორში ვერტმფრენის გამოჩენის დროს დარაგაოცებული თვალებით, მაგრამ მშვიდად შეჰყურებდა მას უცხო ქვეყნის ჩინოვნიკი – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ბუნებრივი რეაქცია, ასე შეაფასეს ლიბერალებმა მისი ქმედება, რაც შეიძლება მისაღები იყოს ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, მაგრამ არა ისეთი პრეზიდენტისთვის, რომლისგანაც ბევრად მეტი ღირსეული გმირობის ამსახველი კადრები ახსოვს საზოგადოებას. ამის შემდეგ იმით ბაქიბუქი, რომ პუტინმა ვერ მოახერხა დანაქადის ასრულება და სხეულის ერთი ადგილით ქართველი პრეზიდენტის დაკიდება, მხოლოდ უსაგნო ქირქილია, სხვა არაფერი.

აი, სამწუხაროდ ასე გაშიშვლდა ჩვენი გმირი პრეზიდენტი, რომელიც გმირებს ხელდახელ ითვლიდა ხოლმე და ღირსების ორდენით ასაჩუქრებდა ფავორიტებს, თურმე იმათ, რომლებიც მისი ვირტუალური გმირობის თანამონაწილეები იყვნენ. ასე დაიმსხვრა ჩვენს თვალში პრეზიდენტის გმირობის აპოგეა და ხელთ შეგვრჩა ფსევდოგმირი, რომელზეც უცხოეთში კი ხუმრობენ, რომ „მომავლის კრონიკამ“ მაშინ დაკარგა „შოკისმომგვრელი ეფექტი“, როცა ევაკუირებულ პარლამენტარებს პრეზიდენტმა არ გაასწრო და კვლავ რეზიდენციაში დარჩაო. ნუთუ ასეთი საქირქილო უნდა გამხდარიყო საქართველოს თავკაცი? ნეტავ, რას უდრის მიშას გმირობის კოეფიციენტი?

საინტერესოა, როდის იყო გულწრფელი ჩვენი პრეზიდენტი – განმუხურში თუ გორში?! თუ სპონტანური ქმედებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, მიშას პირუთვნელი სახე სწორედ გორში გამოჩნდა, როცა მოძალებით გამოავლინა თვითგადარჩენის ინსტინქტი. ამაში მიუღებელი წმიდა ადამიანური თვალსაზრისით არაფერია, მაგრამ როცა ის ედრება და ბაძავს კიდეც დიდ ფიურერებს, ასეთი ქცევები მთავარსარდლებისგან უბრალოდ ამაზრზენი და გულის ამრევია.

სწორედ ამიტომაც იყო საზოგადოებისთვის მიუღებელი მიშარა პრეზიდენტის სცენარით დადგმული „მომავლის ქრონიკა“, ამორალური და ყოველგვარ ზნეობას მოკლებული, ხალხის შესაშინებლად გამიზნული, რომელმაც იმ წუთში, მართლაც, „კარგად“ იმუშავა.

...და მაინც ყველაფრის მიუხედავად შეურაცხყოფილი ერი შეურაცხმყოფელად დუმს და ამის გამო სულაც არ არის შეურაცხყოფილი ქვეყნის პრეზიდენტი. ისე კი, თანდათან, წვეთ-წვეთად, უგრძნობლად იმსხვრევა „გმირი“ მიშას ხატება და მალე შეიძლება იქცეს სიმბოლოდ – როგორი უნდა იყოს ანტიგმირი.

**ნია ფიფია**

პროგნოზი

# „ფინანსური კრიზისიდან გაცილებით გვიან გამოვალთ“



***მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდინა. და თუმცა ხელისუფლება ჯერ კიდევ 2009 წლის ბოლოს და 2010 წლის დასაწყისში აცხადებდა, რომ ეს კრიზისი ჩვენს ქვეყანაში დაძლეულია, განსხვავებული მოსაზრება აქვთ დამოუკიდებელ ექსპერტებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მიმდინარე წელიც კრიზისული იქნება.***

***სწორედ ამ საკითხზე ესაუბრა „მედიანიუსი“ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს, ეკონომიკის დოქტორს დავით ნარმანიას.***

**– ბატონო დავით, რა ეტაპზეა ფინანსური კრიზისი? ექსპერტები ხშირად საუბრობდნენ, რომ 2010 წელს, ძირითადად, აზიაში, გლობალური ფინანსური კრიზისის ახალი კერები გაჩნდებოდა, რაც საქართველოზეც აისახებოდა...**

– 2010 წელი რომ კრიზისული იქნებოდა, ამას ჯერ კიდევ 2009 წელს, ანუ მაშინ ვამბობდი, როცა ხელისუფლება კრიზისის დასრულებაზე განცხადებებს აკეთებდა. ევროპა სტაბილურობის გზას ნელ-ნელა დაადგა. აზიას კი წინ ბევრი არასასურველი სიტუაცია ელის. წელს იქ მცირე ეკონომიკური ვარდნები პერიოდულად შეიმჩნევა, თუმცა, ამას ისეთი მასშტაბური ხასიათი არ აქვს, როგორც აშშ-სა და ევროპაში ჰქონდა. შექმნილ ვითარებაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩინეთის ეკონომიკის წარმატებაზე, რადგან მასზე მრავალი აზიური ქვეყნის ეკონომიკაც არის „მიბმული“.

აზიაში ფინანსური კრიზისის ახალი კერების გაჩენა საქართველოზეც აისახება, თუმცა არა ისე ძლიერ, როგორც ეს 2008 წლის ბოლოს და 2009 წლის დასაწყისში გლობალურ კრიზისს ჰქონდა. საქართველო, ფინანსურად, უმთავრესად აშშ-სა და ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან არის დაკავშირებული. აზიაზე კი, ჩვენი ეკონომიკა, ძირითადად, იმპორტის თვალსაზრისით არის დამოკიდებული. თუმცა, კრიზისის იმპორტს ნაკლებად შეეხება. პირიქით, შესაძლოა, არაერთი კატეგორიის პროდუქცია გაიაფდეს კიდეც.

**– არის თუ არა საქართველოში გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგები ბოლომდე გამოვლენილი?**

– ჯერ არა, რადგან ძალიან ბევრი კომპანია კვლავაც კრიზისულ სიტუაციაშია. ამას დაემატა მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა, გამკაცრებული ადმინისტრირების მექანიზმები, რომელიც კრიზისის პირობებში მიუღებელი იყო. თუმცა, იმის გამო. რომ სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ სერიოზული დეფიციტი იყო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზება გახდა საჭირო, ხელისუფლებამ ეს გზა აირჩია. ამიტომაც, ჩვენ კრიზისიდან გაცილებით გვიან გამოვალთ, ვიდრე ეს შედარებით ნეიტრალური პოლიტიკის შემთხვევაში მოხდებოდა. ამასთან, გარკვეული კრიზისული სიტუაცია გვქონდა იანვარშიც, როცა ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც კრიზისის ერთ-ერთი გამოვლინებაა. გარკვეული ეკონომიკური შოკი და ვარდნა როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში კვლავაც არის მოსალოდნელი. 2010 წელი შედარებით ნაკლები სტაბილურობის წელია.

**– იქნებ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა აფეთქებებს უნდა ველოდოთ წლეულს?**

– რთული ვითარება, უპირველესად, მოახლოებული არჩევნების შემდეგ შეიქმნება. საარჩევნოდ საკმაოდ დიდი საბიუჯეტო რესურსი იხარჯება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა თუ სხვა ღონისძიებების განხორციელებაზე. ამასთან, ბიზნესაქტივობა მაღალი არ არის, ანუ გადასახადების დიდი მოცულობით მობილიზება ვერ მოხერხდება. ამის შედეგად არჩევნების შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებების შესრულების გადავადება მოუწევს. ლაპარაკია იმ კომპანიების წინაშე არსებულ ვალდებულებებზე, რომლებიც, მაგალითად, გზას აშენებენ ან ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოს ასრულებენ. ამ მხრივ, იმდენად მასშტაბური ღონისძიებები ხორციელდება, რომ მომსახურების საფასურის გასტუმრება ასე უცებ ყველასათვის ვერ მოხერხდება და სათანადო ვადები გაიწელება.

**– სოციალური ვალდებულებების შესრულებასაც ხომ არ შეექმნა საფრთხე?**

– ხელფასებისა და პენსიების გასტუმრებას დაბრკოლება ნაკლებად შეექმნება, რადგან ეს სახელმწიფოს ძალიან დიდი ტვირთი არ არის, თანაც, ეს მისი ყოველთვიური ვალდებულებაა.

**– სამომხმარებლო ფასების გაზრდას წელს კიდევ უნდა ველოდოთ?**

– უნდა ველოდოთ. გაზაფხულობით ნავთობის საერთაშორისო ბირჟებზე ფასების ზრდის ტენდენცია ყოველთვის არის. ეს კი ჩვენს ბაზარზეც აისახება და ფასების საერთო დონეც აიწევს.

**– სავარაუდოდ, როდისთვის არის მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციისგან დაძლევა?**

– კრიზისული სიტუაციიდან ნელ-ნელა გამოსვლა 2011 წლისთვის დაიწყება.

## ◉ აკადემია

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც ამჯერად ვიცე-პრეზიდენტი ფრიდონ თოდუა უძღვებოდა და მოწვეული სპეციალისტებიც ესწრებოდნენ, ორი ერთობ აქტუალური საკითხის გარშემო იყო სჯა-ბაასი: მიწისძვრები, სეისმური რისკი, პასუხისმგებლობა — ერთი და მიწისძვრებით გამოწვეული დედამიწის ღერძის გადახრისა და მის გარშემო ბრუნვის სიჩქარის ცვალებადობის შესახებ — მეორე.**

# 2012 წლის გამო გამოთქმული ყველა შემაშფოთებელი პროგნოზი უსაფუძვლოა

პირველ საკითხზე ეკრანიზებული მოხსენებით (აკადემიური საბჭოს სხდომებზე ეს უკვე წესად იქცაძ გამოვიდა სმეპ-ს წევრ-კორესპონდენტი გურამ გაბრიჩიძე, მეორეზე, ასევე ილუსტრირებული ფონით, სმეა-ს წევრ-კორესპონდენტი თამაზ ჭელიძე.

მე შევხვდი ორივე მომხსენებელს და ვთხოვე, რომ საააკადემიო ცხოვრების სისტემატურად გამშუქებელი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც მოეთხროთ ბოლო ხანებში წინა პლანზე განსაკუთრებული სიმწვავით გამოსული „საპლანეტო" პრობლემების თაობაზე.

**პროფესორი გურამ გაბრიჩიძე:** — მიწისძვრები, საერთოდ, ისეთ სტიქიურ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნის სეისმურად აქტიურ რეგიონებში განლაგებულ ქალაქებს, დასახლებულ პუნქტებს, მსხვილ ობიექტებსა და მოსახლეობას.

მიწისძვრების მიზეზით ყოველწლიურად მსოფლიოში იღუპება 15-30 ათასი ადამიანი, ხოლო ეკონომიკური ზარალი ასობით მილიარდ დოლარს შეადგენს. არადა ამ სტიქიურ უბედურებათა გეოგრაფია წლიდან წლამდე ფართოვდება, რაოდენობა კი იზრდება.

საქართველო, სამწუხაროდ, სეისმურად აქტიური რეგიონის კუთვნილებაა და აქ ისტორიულად დაფიქსირებულია მაღალი ინტენსიურობის მიწისძვრები. მაგალითად, რაჭის, 1991 წლის მიწისძვრა 9-ბალიანი იყო, მაშინ დაინგრა ან დაზიანდა 50 ათასამდე სახლი თუ ნაგებობა, უსახლკაროდ დარჩა ასობით ათასი კაცი და ეს სავალალო შედეგები დღემდე არაა ლიკვიდირებული. ყურადსაღებია, რომ შარშან თითქმის იმავე ადგილას მოხდა საგრძნობი მიწისძვრა.

2002 წლის თბილისის მიწისძვრამ, რომლის ეპიცენტრი უშუალოდ დედაქალაქის ფარგლებში მოხვდა, აგრეთვე გამოიწვია განსაკუთრებული შეშფოთება. 2009 წელს თბილისში განმეორდა ანალოგიური ხასიათის მიწისძვრა.

სეისმოლოგთა პროგნოზით, ძლიერი მიწისძვრები საქართველოში კვლავაც მოსალოდნელია. ამდენად, იმგვარი მრავალკომპონენტიანი პრობლემა, როგორიც ქვეყნის სეისმური უშიშროების შემცირებაა, სახელმწიფო დონეზე მოითხოვს რეგულირებას სათანადო კანონებისა თუ დადგენილებათა მიღებისა და სპეციალური პროგრამების შედგენა-განხორციელების გზით.

უკვე მიღებული კანონები და დადგენილებები სრულად ვერ მოიცავს ხსენებულ პრობლემას, ამასთან სეისმომედეგი მშენებლობის თანამედროვე იდეოლოგია სრულყოფილი არ არის და ვერც უზრუნველყოფს სეისმური უსაფრთხოების სათანადო დონეს. ეს, რასაკვირველია, საშიშია მცირე ტერიტორიებზე მდებარე ქვეყნებისთვის.

ასე რომ, კვლევები ამ მიმართულებით ჩვენთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს ფუნდამენტური ხასიათის კვლევები მეცნიერების სხვადასხვა დარგში კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვს.

**პროფესორი თამაზ ჭელიძე:** — ბოლო წლებში მსოფლიოში მომხდარ რამდენიმე დამანგრეველ მიწისძვრას, დიდ ადამიანურ მსხვერპლსა და უზარმაზარ ეკონომიკურ ზარალთან ერთად, მოჰყვა დედამიწის გარკვეული პარამეტრების, კერძოდ, ბრუნვის ღერძის გადახრისა და ბრუნვის სიჩქარის ცვლილებები. რამდენად დიდია ეს გადახრები და გამოიწვევს თუ არა მკვეთრ ცვალებადობას ჩვენს საცხოვრებელ გარემოში (კლიმატი და სხვაძ? ეს შიში გამორჩეულად უკავშირდება 2012 (საოლიმპიადო!ძ წელს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ არაფერი არ მომხდარა ისეთი, რაც დედამიწას ადრე არ განუცდია. მაგალითად, წლევანდელ ჩილეს მიწისძვრაზე გაცილებით უფრო ძლიერი, ისევ ჩილეში, 1960 წელს დაფიქსირდა. ასევე მძლავრი იყო ჰაიტის, რაჭის, სპიტაკის მიწისძვრები. მსგავსი სტიქიური მოვლენები წელიწადში 15-მდე მოინიშნება (დიდ ყურადღებას არ იქცევენ დაუსახლებელ რაიონებში მოვლენილნიძ.

დედამიწის ბრუნვის ღერძს რაც შეეხება, ის ისედაც დახრილია ორბიტისადმი ნორმალის მიმართ, რაც დედამიწის სეზონების ცვლას განაპირობებს და დახრა პრაქტიკულად უმნიშვნელოდ შეიცვალა ჩილეს მიწისძვრის გამო. ცხადია, ამნაირი უმცირესი ეფექტი ჩვენს გარემოში ვერაფერს ვერ შეცვლის.

გასათვალისწინებელი ისაა, რომ დედამიწის ბრუნვის სიჩქარეზე გაცილებით უფრო ძლიერ გავლენას ახდენს მუდმივი მიმართულების ქარების, მიმოქცევებისა და სხვა მუდმივი ფაქტორები, რის მიზეზითაც ის განუწყვეტლივ მცირდება წელიწადში დაახლოებით 0,5 მილიწამით; ამრიგად, მიწისძვრის ეფექტი ძალიან სწრაფად განეიტრალდება მუდმივმოქმედი ფაქტორებით.




**...მოხდება თუ არა ძლიერი მიწისძვრები საქართველოში და შეიძლება თუ არა იმათი პროგნოზირება, როგორ დავიცვათ თავი მსგავსი უბედურებებისაგან?**

— ჩვენი ქვეყანა ალპურ-ჰიმალაურ ზოლში მდებარეობს და აქ ძლიერი მიწისძვრები ხდებოდა, ხდება და კვლავაც მოხდება. ამ სტიქიური მოვლენის წინასწარმეტყველება სამი პარამეტრის დადგენას გულისხმობს: ადგილი, სიძლიერე და დრო. დროის „გამოცნობა", თუნდაც თვეების სიზუსტით, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. საბედნიეროდ, საკმაოდ კარგად შეიძლება მიწისძვრების სავარაუდო ადგილისა და სიძლიერის პროგნოზირება, რაც აისახება ეგრეთ წოდებულ სეისმური დარაიონების რუკებში; თუ მშენებლობა ამგვარი რუკის გათვალისწინებით წავა, მსხვერპლიცა და ეკონომიკური ზარალიც მინიმუმამდე დაიყვანება: ადამიანებს მიწისძვრა კი არა, დანგრეულ-ჩამონგრეული შენობები ჰკლავს (ერთ-ერთ ასეთ შესანიშნავ ნამუშევარზე — აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძის რუკაზე „საქართველოს რესპუბლიკა" 6 მარტის ნომერში წერდა — **თ. ე.**ძ.

მომავალ 2012 წელთან დაკავშირებით გამოთქმულია და გამოითქმება სხვადასხვა შემაშფოთებელი პროგნოზი: მაიას კალენდრის დასასრული, პლანეტა ნიბირუს დაჯახება, ნოსტრადამუსის მიერ „დაგეგმილი" მესამე მსოფლიო ომი, მზის აქტივობის მაქსიმუმი, გეომაგნიტური პოლუსების შებრუნება, გალაქტიკური სწორება... ვერც ერთი მათგანი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას და მეცნიერულად ყველა სრულიად უსაფუძვლოა. ამგვარი სიუჟეტები შესანიშნავი მასალაა კინოჰიტების შესაქმნელად, რაც მშვენივრად გააკეთეს კიდევაც ფილმ „2012"-ის ავტორებმა...

აკადემიის წევრების გურამ გაბრიჩიძისა და თამაზ ჭელიძის ნაუბარს შეტყობინების ფორმით დავუმატებ: ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას შემოთავაზებით აკადემიაში კვლავ შეიკრიბებიან მეცნიერები და სხვა სპეციალისტები, რათა დაწვრილებითა და კონკრეტულად შეიმუშაონ ხელისუფლებაში (პარლამენტი, მთავრობაძ შესატანი წინადადებები თუ პროექტები, რაც საფუძვლად დაედება სახელმწიფოს სტრატეგიულ პოლიტიკას ქვეყნის სეისმური საშიშროების შესამცირებლად.

**თამაზ ებანოიძე**

## ◉ საზოგადოება და კორუფცია

# კი ამოგვაგდეს, მაგრამ თავად ვართ „ამოვარდნილები"?

**სახელმწიფოს კუთვნილი სახსრების გაფლანგვის „სისტემური რისკების" ტერმინში, უწინარესად, იგულისხმება მსხვილმასშტაბიანი კორუფცია, რომელიც, ფაქტობრივად, ამა თუ იმ დოზით ყველა ქვეყანაში სუფევს. ეს არის პოლიტიკურ პროცესებში ფულის არალეგალური დინება, ასევე ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალის ზეგავლენა მსხვილ სახელმწიფო დაწესებულებებზე.**

ყველაფერი ეს, რაღა თქმა უნდა, მოქალაქეთა უდიდეს შეშფოთებას იწვევს როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე, ბუნებრივია, საქართველოშიც. სიმართლე გითხრათ, იმაზე დაწვრილებით ლაპარაკი, თუ სხვაგან რა ხდება, შესაბამისი ინფორმაციის სათანადო დამუშავების შემდგომაც კი, ჩვენთვის უხერხული იქნებოდა, მაგრამ იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენის ქვეშ მოქმედებენ სახელმწიფო სტრუქტურები ჩვენში, ყველამ კარგად ვიცით. ამის მიუხედავად, როგორც ცოტა ხნის წინათ ოკეანის გაღმიდან მიღებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, **ორგანიზაცია Global Integrity იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელიც კორუფციასთან ბრძოლას ეხება, „საქართველო ოფიციალურად ჩამოაქვეითა".** და, როგორც იმავე ცნობაშია მითითებული, ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ **„სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურებმა ბოლო დროს მნიშვნელოვნად აამაღლეს ოპერატიულობა და პრობლემებსაც აგვარებენ",** რასაც Global Integrity-ც ადასტურებს.

ამასთან, საქართველოს მაღალი რანგის ჩინოსნების პოპულისტური განცხადებებისგან განსხვავებით, თითქოსდა კორუფცია ჩვენში იმ ზღაპრული დევივითაა დამარცხებული, კინოფილმ „ცისკარაში" სოფელს წყალს რომ არ აძლევდა, Global Integrity-ს ანგარიშში მაინც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მიუხედავად იმისა, რომ **სახალხო დამცველის აპარატი საზოგადოებრიობაში რეპუტაციას ინარჩუნებს, ხელისუფლებას ხშირად არ სურს მის რეკომენდაციებზე რეაგირება, მით უმეტეს იმ სფეროში, რომელიც პოლიტიკურ რეფორმებს უკავშირდება.**

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ თუმცა **„მიმოხილვის სიიდან საქართველოს ამოღება" სულაც არ გამორიცხავს მსხვილმასშტაბიანი კორუფციის შემთხვევების გამოვლენას.** ეს, უბრალოდ იმის მინიშნებაა, რომ, ამ მხრივ საგრძნობი (და არა მთლიანი, როგორც ამაში ნაციონალები გვარწმუნებენძ პროგრესი ნამდვილად არის, — ეს არის, კერძოდ, Global Integrity-ს მმართველი დირექტორის ნათანიელ ჰელერის აზრი. ამასთან, აღნიშნულია ისიც, რომ **„ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ანგარიშვალდებულების დონე კვლავაც დაბალია, ხოლო მმართველი პარტიის ფუნქცია სახელმწიფო ინტერესებს სცილდება" (!!).**

იქნებ ახლა მაინც აგვიხსნან ნაციონალებმა, თუ რას ნიშნავს, კონკრეტულად, Global Integrity-ს ნუსხაში საქართველოს „ჩამოქვეითება" (ანუ ამოღებაძ, თუ **სულაც არ გამოირიცხება მსხვილმასშტაბიანი კორუფციის შემთხვევის გამოვლენა, ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს ომბუდსმენის რეკომენდაციებს, მმართველი პარტიის ფუნქცია სახელმწიფო ინტერესს „სცილდება"?** მეტი რაღა უნდა თქვან ამაზე „დაუშიფრავი", პირდაპირი ტექსტით?

ეს რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს. ამასთან 2009 წლის მსოფლიო კორუფციის Global Integrity-ის Watch List-ის სიაში ლაპარაკია როგორც განვითარებულ ქვეყნებზე (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სამხრეთ კორეაზე და ა.შ.ძ, ასევე განვითარებად ქვეყნებზე (მაგალითად, აზერბაიჯანზე, ლიბანზე, ვიეტნამზე და ა.შ.ძ. ანგარიშში შეფასებულია ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონე, რათა ექსპერტებს ჰქონდეთ იმის განსაზღვრის შესაძლებლობა, თუ სად არის კორუფციის დონე უფრო მაღალი.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ◉ ინფორმაცია თემაში

***Global Integrity** არის 35 ქვეყანასთან ერთობლივად მომუშავე საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მთელ მსოფლიოში კორუფციის მართვასა და ტენდენციებს იკვლევს. მასთან ერთად თითქმის ასი ქვეყნის მრავალი მეცნიერი და ჟურნალისტი მუშაობს. თავად ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, **Global Integrity**-ს მოღვაწეობის მთავარი მიზანი როგორც საერთო ეროვნულ, ასევე ცალკეული დარგების დონეზე, დებატებში გამოსაყენებლად, სახელმწიფო და ანტიკორუფციული რეფორმების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაა. ასევე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მათს ინფორმაციას იყენებენ დონორები, სამოქალაქო საზოგადოებრიობის აქტივისტები, ასევე განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების ხელისუფლებები, რომლებიც მმართველობის სისტემაში რეფორმების გატარებას ცდილობენ.*

◎ ფრაგმენტები კოლხეთის ისტორიიდან

# 2. არისტარქე - კოლხეთის მეფე

**ძვ. წ. 65 წელს დამარცხებული და იმედგადაწურული მითრიდატე ევპატორი ჩრდილოეთის მიმართულებით გაიქცა, რათა ტყვეობიდან თავი დაეხსნა. ძლევამოსილი რომაელი სარდალი გნეუს პომპეუსი ევპატორის გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნების დალაშქვრას შეუდგა. სომხეთიდან დაძრული პომპეუსი იბერიაში შემოვიდა. იბერიის მეფე არტაგმა (ანტიკური ავტორების არტოკე, არტაკი) მტრის შეჩერება ვერ შეძლო, დამარცხდა, მაგრამ ტახტი საჩუქრებითა და მძევლების გადაცემით შეინარჩუნა. იბერია რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ გამოცხადდა.**

**რომაული ლაშქრობების გარეთ რჩებოდა მითრიდატეს უკანასკნელი დასაყრდენი კოლხეთი, სადაც პონტოს მეფეს თავისი ხელისუფლების დამცველი „გამგებელი" თუ „მეფე" ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამხედრო შენაერთებით. რომის ლეგიონერები იბერიიდან კოლხეთში გადავიდნენ, დაამარცხეს აქ დაბანაკებული პონტოს არმია, რომელსაც სათავეში ედგა კოლხეთის „მეფე" ოლთაკე, დაატყვევეს იგი და მის ნაცვლად ქვეყნის გამგებლად დანიშნეს არისტარქე (აპიანე, მითრიდატული ომები, 114. ევტროპიუსი, VI, 14). ვინ იყო არისტარქე, ან რა დამსახურების გამო მიიღო მან კოლხეთის „მეფის" ტიტული, ანტიკური ავტორები ინფორმაციას არ გვაწვდიან.**

რომაული საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია საოცრად დახვეწილი იყო. მსოფლიოზე საბატონოდ ამხედრებულები დაპყრობილ ქვეყნებს უწყინარი და ლმობიერი „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ" აცხადებდნენ. ხელისუფლად უნიშნავდნენ ადგილობრივი წარმომავლობის დიდებულებს, ანიჭებდნენ გარკვეულ დამოუკიდებლობას, ნაკლებად ერეოდნენ საშინაო საქმეებში, მაგრამ უნდა დაეკმაყოფილებინათ მთავარი მოთხოვნა: დამორჩილებოდნენ საერთო რომაულ ინტერესებს.

პომპეუსის მიერ არისტარქეს კოლხეთის „მეფედ" დასმა (თუმცა იგი თავის თავს მეფეს არ უწოდებდა) რომაული აღმოსავლური პოლიტიკის კანონზომიერი და ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აპიანეს თანახმად, გამარჯვებულმა პომპეუსმა აღმოსავლეთის დამორჩილებული ხალხები რამდენიმე კატეგორიად დაჰყო. ზოგიერთებს დაუტოვა ავტონომია (ომში გამოვლენილი მხარდაჭერისათვის), ზოგიერთები დაუქვემდებარა რომაელებს, ზოგს აღუდგინა სამეფო ხელისუფლება. **აპიანეს ჩამოთვლილი აქვს ახლად აღზევებული გვირგვინოსნები: ტიგრანი – სომხეთში, ფარნაკე – ბოსფორში, არიობარზანი – კაპადოკიაში... პომპეუსის განკარგულებით დაინიშნენ აგრეთვე ტეტრარქები: გალო-ბერძნების – დეიოტარი, პაფლაგონიელების – ატალოსი, კოლხების – არისტარქე** (მითრიდატული ომები, 114).

**აპიანეს დასახელებული ყველა მეფე-მთავარი ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენელი იყო. ამ რეალობიდან გამომდინარე, არისტარქეს კოლხობა საეჭვო არ არის.** ამ კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით, საყურადღებო განმარტებად მიგვაჩნია, სტრაბონის ცნება, რომლის თანახმადაც, კოლხეთი მითრიდატე ევპატორის იმპერიაში მოქცევამდე, დაყოფილი იყო სკეპტუხიებად (გეოგრაფია, XI, II, 18). სავსებით მოსალოდნელია, რომ ევპატორის აგრესიას ყველა სკეპტუხი არ დაემორჩილებოდა. ასეთად მიგვაჩნია არისტარქე, რომელმაც დატოვა სამშობლო და თავი იბერიას შეაფარა. მითრიდატეს დაცემა იმედს მისცემდა, ეფიქრა ადრინდელი დიდების დაბრუნებაზე. ამ იმედმა იგი გამარჯვებული რომაელების ბანაკში მიიყვანა. არისტარქე აქტიურად ჩაერთო პროცესში, რაც საბოლოოდ შესაფერისად დაუფასდა.

საყურადღებოა დიონ კასიოსის მსჯელობა კოლხეთში რომაელების ლაშქრობასთან დაკავშირებით. **ისტორიკოსი მოკლედ წერს, პომპეუსმა „გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით" (დიონ კასიოსი, რომის ისტორია, XXXVII, 3). გამოდის, რომ პომპეუსს კოლხეთში ბრძოლები არ უწარმოებია და მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებებით მიიკვლევდა გზას და დიდ წარმატებასაც მიაღწია. მოულოდნელია კოლხების მოქმედება, მტერთან მუდამ შეუპოვრები, ამჯერად რომაელებს უომრად დანებდნენ.** ამ იშვიათი მოვლენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს არისტარქე, იგი უნდა წარმოვიდგინოთ თვისტომებთან მოლაპარაკების მთავარ ინიციატორად და უცხოელი ოლთაკეს საწინააღმდეგო განწყობის გამაძლიერებლად. არისტარქე კოლხეთისაკენ მიდიოდა არა როგორც დამპყრობელი არმიის ჯარისკაცი, არამედ მტრის უღლისაგან განმათავისუფლებელი გმირი. სამშობლოში დაბრუნებული, რომის ლეგიონებით ზურგგამაგრებული ირწმუნებოდა, რომ მითრიდატე ევპატორის ხელისუფლების დამხობით, კოლხები დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ. არისტარქეს აგიტაციამ თავისი შედეგი გამოიღო, რასაც ადასტურებს დიონ კასიოსის მოკლე ინფორმაცია.

**პომპეუსის გადაწყვეტილებით, ოლთაკეს ნაცვლად, კოლხეთის ხელისუფალი გახდა არისტარქე, რომელსაც ევტროპიუსი მეფეს უწოდებს, აპიანე – ტეტრაქს.** რომაული გაგებით ტეტრარქი ნიშნავდა ქვეყნის მეოთხედის მმართველს. თუ ამ განმარტებას სინამდვილედ მივიჩნევთ, არისტარქე არ წარმოადგენდა ერთიანი კოლხეთის ხელისუფალს, მაგრამ წყაროები ამის შესახებ ცნობებს არ გვაწვდიან. უნდა აღინიშნოს, რომ არისტარქეს მოღვაწეობას ანტიკური ავტორების ყურადღება აღარ დაუმსახურებია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უმნიშვნელო ფიგურა იყო ძველი საქართველოს ისტორიაში. **არისტარქეს შესახებ არსებულ მწირ ცნობებს სერიოზულად ავსებს ნუმიზმატიკური მონაცემები. მოღწეულ ექვს მონეტაზე ამოტვიფრულია არისტარქეს სახელი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მონეტებზე მითითებულია მოჭრის თარიღი, არისტარქეს მმართველობის მე-12 წელი. სადავო არ არის, რომ პომპეუსმა კოლხეთში ილაშქრა ძვ. წ. 65 წელს. იგულისხმება, იმავე წელს გადაეცა ხელისუფლება არისტარქეს. არისტარქეს მმართველობის მე-12 წელი იყო ძვ. წ. 53 წელი. მონეტების მოჭრის ზუსტი თარიღია ძვ. წ. 53 წელი. ამ მონეტებით ამიწურება ინფორმაცია არისტარქეს, როგორც კოლხეთის მმართველის შესახებ.**



რომაული ორიენტაციის კოლხი არისტარქე აკმაყოფილებდა პომპეუსის მოთხოვნებს. იგი წლების განმავლობაში, ნომინალური დამოუკიდებლობის გაწონასწორებული ქმედებებით მართავდა კოლხეთს.

ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში კოლხეთი მითრიდატიდების ახალი აგრესიის არეალში აღმოჩნდა. **რომაული მფარველობის ქვეშ მყოფი არისტარქეს მშვიდი მმართველობა ძვ. წ. 47 წელს დაირღვა. ამჯერად კოლხეთმა განიცადა ბოსფორის მეფის ფარნაკეს გამანადგურებელი თავდასხმა.**

ცნობილია, რომ პომპეუსმა, მამის მოღალატე ფარნაკე ბოსფორის მეფედ დაამტკიცა და რომაელების მეგობრად და მოკავშირედ გამოაცხადა. დამოუკიდებელი მეფობის პირველ ხანებში ფარნაკემ დაიმორჩილა აზოვის ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომები, სარმატებისაგან შეადგინა საკმაოდ დიდი არმია და შეუდგა ოცნებას მამისეული სამფლობელოების დასაბრუნებლად. მის პრეტენზიებზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა იულიუს ცეზარის მიერ რუბიკონის გადალახვამ და სამოქალაქო ომის ახალი ცეცხლის დანთებამ.

რომში დატრიალებულმა სისხლისღვრამ ფარნაკეს გამარჯვების იმედი მისცა და შეუდგა გეგმის სისრულეში მოყვანას. დაიწყო ლაშქრობა. ანტიკური ავტორების მოწმობით, პირველი ქვეყანა, რომელიც ფარნაკემ დაიპყრო, იყო კოლხეთი. აქედან გადავიდა სომხეთსა და მცირე აზიაში. ფარნაკე შესანიშნავად ერკვეოდა რომში მიმდინარე მოვლენებში. ლაშქრობა მაშინ დაიწყო, როდესაც ცეზარისა და პომპეუსის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. გართულებულ მდგომარეობაში ყოფნის მიუხედავად, იულიუს ცეზარმა ელვისებური დარტყმით გაანადგურა ფარნაკე (ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიბადა ცეზარის ფრთოსანი გამოთქმა: მივედ, ვნახე, გავიმარჯვე – veni, vidi, vici).

დამარცხებული ფარნაკე ბოსფორში დაბრუნდა. მოადგილედ დატოვებულმა ასანდრემ (ვარაუდობენ, რომ ასანდრე სპარტოკიდების დინასტიის წარმომადგენელი იყო) წინააღმდეგობა გაუწია. გაიმართა ბრძოლა. ფარნაკე დაიჭრა და გარდაიცვალა. იულიუს ცეზარმა არ ცნო ასანდრეს ხელისუფლება ბოსფორში და მისი ხელისუფლების დამხობა მითრიდატე ევპატორის უკანონო შვილს, თავის მოკავშირე მითრიდატე პერგამოსელს დაავალა. მითრიდატე დაუყოვნებლივ შეუდგა დავალების შესრულებას, შეიჭრა მოსხების ქვეყანაში, გაძარცვა ლევკოთეას საკურთხეველი (სტრაბონი, XI, 2,17), დალაშქრა კოლხეთი, მიაღწია ბოსფორამდე, მაგრამ ასანდრეს ვერაფერი დააკლო, ბრძოლაში თვითონ დაიღუპა (ძვ. ძ. 47 წელს).

**კოლხეთი ბოსფორის მოვლენებს შეეწირა. ერთი წლის განმავლობაში ჩრდილოეთიდან ფარნაკემ, ხოლო სამხრეთიდან მითრიდატე პერგამოსელმა არისტარქეს სამფლობელო მიწასთან გაასწორეს.**

**ქართველ არქეოლოგთა მრავალწლიანი შრომის შედეგად დადგენილია, რომ ანტიკური ქალაქის ვანის ნანგრევებად ქცევა მოხდა ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში. ეს კი ზუსტად ის დროა, როდესაც კოლხეთში ილაშქრეს ფარნაკემ და მითრიდატე პერგამოსელმა.** ეს არ არის უბრალო დამთხვევა. არქეოლოგიამ აღმოაჩინა ის, რაც ფრაგმენტულად იყო მითითებული ანტიკურ წყაროებში.

ბოსფორიდან დაძრულ ნიაღვარს, რომელსაც მცირე აზიის პოლიტიკური სურათის შეცვლა ჰქონდა განზრახული, თავისი ძლიერების პირველი დემონსტრირება კოლხეთში მოუხდა. უზარმაზარი სამხედრო ძალის სათავეში მდგომ ფარნაკეს, არისტარქემ შესაფერისი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დამარცხდა. არ არის გამორიცხული, რომ იგი ბძროლის ველს ზურგს არ შეაქცევდა და ალბათ იქვე დაიღუპებოდა.

ფარნაკე, როგორც მითრიდატე ევპატორის მემკვიდრე, კოლხეთს თავის სამფლობელოდ თვლიდა და მოითხოვდა მამისეული უფლებების აღდგენას. ამ ლოგიკით, არისტარქე ქვეყნის არაკანონიერი მპყრობელი იყო, მითრიდატეს ძე კი იბრძოდა კანონიერების აღსადგენად. ამ პრინციპით გააგრძელა მან ბრძოლები მცირე აზიის მიმართულებით. დასაწყისში საგრძნობ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ სრული მარცხი განიცადა. ხანმოკლე აფეთქების შედეგად, მითრიდატე ევპატორის ძემ მოასწრო და კოლხეთი ნანგრევების ქვეყნად დატოვა. რაც ფარნაკეს გადაურჩა, მას ბოლო მოუღო მისმა ნახევარძმამ მითრიდატე პერგამოსელმა. ამრიგად, კოლხეთი მითრიდატიდების აგრესიამ მიწასთან გაასწორა.

**საყურადღებოა იმის ხაზგასმაც, რომ დასავლეთ საქართველოს მრავალი ქალაქის ნაქალაქარად ქცევა ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება, რაშიც კარგად ჩანს საერთო მტრის ნამოქმედარი.** მოულოდნელად შემოჭრილმა ფარნაკეს ლაშქარმა ყველაფერი ცეცხლს მისცა.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც თუ რას წარმოადგენდა კოლხეთი არისტარქემდე. **უპირველეს ყოვლისა, იგი ბოლოს მოუღებდა მითრიდატე ევპატორის ბატონობის შედეგებს, წინა პლანზე წამოსწევდა ადგილობრივსა და ელინურ კულტებს. როგორც ცნობილია, მითრიდატიდები თავს აქემენიდების მემკვიდრეებად თვლიდნენ, ისინი ზოროასტრიზმის აღმსარებლები იყვნენ. კოლხეთში პოლიტიკურთან ერთად პონტოს რელიგიურ ექსპანსიასაც ექნებოდა ადგილი, რომლის აღმოფხვრაც არისტარქეს სახელს უნდა მიეწეროს.**

**არისტარქე, როგორც ელინიზირებული კოლხი, გარკვეულ ხარკს უხდიდა იმდროინდელ კულტურულ სამყაროში გავრცელებულ ბერძნულ პანთეონსაც. ამას ადასტურებს ოლიმპოს ღმერთებისა და ქალღმერთების სიმრავლე კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე** (განსაკუთრებით ვანში).

**რომაული აღმოსავლური პოლიტიკის არეალში მოქცევამ კოლხეთს შედარებით წინა პერიოდთან, დამოუკიდებელი განვითარების საშუალება მისცა.** უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე მას არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდა, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე. არისტარქეს ეპოქის განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მონეტის მოჭრა, რაც გამომდინარეობდა ქვეყნის ეკონომიკური მოთხოვნილებებით. კოლხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების ნაშთები მოწმობენ სააღმშენებლო ხელოვნების დაწინაურებაზე. **მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების მოღწეული ფრაგმენტების საფუძველზე საეჭვო არ არის, რომ არისტარქეს ძველი საქართველოს ისტორიაში თვალსაჩინო როლი აქვს შესრულებული.** ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლებიდან, კონკრეტულად რომელი შეიქმნა ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში. ის ფაქტი კი დავას არ იწვევს, რომ ყველა ქალაქი აღნიშნულ ეპოქაში მოექცა მიწის ქვეშ.

ფარნაკეს ლაშქრობამ შეიწირა კოლხეთის „მეფე" თუ მმართველი არისტარქე და ნანგრევებად აქცია ქვეყნის მრავალი დასახლებული პუნქტი. კოლხეთის არქეოლოგიური შესწავლის თანამედროვე დონე ნათლად გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. I საუკუნეში ვანი გამორჩეული ქალაქი იყო. ამას ადასტურებს აქ აღმოჩენილი, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ძეგლები. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, **ვარაუდის დონეზე შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, თუ სად მდებარეობდა კოლხეთის „მეფის" არისტარქეს სატახტო ქალაქი. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის რეზიდენციად, ნაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტი შეუფერებელიც კი იქნებოდა. ამდენად, მრისხანე და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ ძირითადი ბრძოლები ვანს უნდა გადაეტანა.** სისხლისაგან დაცლილი ქალაქი ფარნაკემ აიღო, გაძარცვა და გადაწვა. იგი იმდენად იყო ფერფლად ქცეული, რომ მოსახლეობას, ვინც მტერს გადაურჩა, მისი აღდგენა არც უცდია.

**ელინისტური ეპოქის მიწურულს კოლხეთის „მეფე-გამგებელმა" არისტარქემ და მისმა დედაქალაქმა სიცოცხლე ერთდროულად დაასრულეს.**

არისტარქეს მოღვაწეობა საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ბურუსით მოცული პერიოდია, რომლის შესახებ გაბმული თხრობა თითქმის შეუძლებელია. ანტიკური ავტორების ფრაგმენტული ინფორმაციები რეალობას მიუახლოვა არქეოლოგიამ, თუ ვაღიარებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ვერსია არ არის სინამდვილეს დაშორებული. რომაელებისაგან ძლეულმა მითრიდატიდებმა უკანასკნელი გაბრძოლების დროსაც კი, საფლავში ჩასვლის წინ კოლხეთიც დაფერფლილი დატოვეს.

**გრანი ქავთარია**

*P. S. აღსასრულის პირას მდგარი იმპერიები ჩვენი ქვეყნის მიწასთან გასწორებას მაინც ახერხებდნენ. დასაბამიდან ასეთი ბედი დაჰყვა საქართველოს, თუმცა უკეთესობის გამონათება დღესაც არ ჩანს. საუკუნეთა სიღრმეებიდან მოყოლებული ჩვენი მიწა უცხო ტომელთა სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა და ასეთად რჩება. ბედისწერაა ისიც, რომ ქართველთა საშინაო და საგარეო საკითხებს ყოველთვის უცხო ძალა განიკითხავდა, თავისი ინტერესების სასარგებლოდ. შორს ვართ წარსული მოვლენების მოდერნიზაციისაგან, მაგრამ თანამედროვე საქართველოში მდგომარეობა შეიცვალა?*

*ბ. ქ.*

შემოქმედი

# ბესიკ ხარანაული: „დამღუპა ბივი შაჰნაზარმა, ზოგ-ზოგს უკვე ნობელის პრემიის ლაურეატი ვგონივარ“



**– ბივი შაჰნაზარმა, რაო?..**

– ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე გამოვიდა, წარვადგინოთ ბესიკ ხარანაულის პოეზია ნობელის პრემიაზეო... ამ აზრს, რომელიც ბევრმა მოიწონა, არავითარი ოფიციალური გაგრძელება არ მოჰყოლია, არადა ირგვლივ ათასნაირად გავრცელდა ხმა და ზოგი უკვე მიზღვერს – ნობელის პრემიის ლაურეატი ვგონივარ...

**– თითქოს, ოფიციალურ დონეზეც მოიწონეს... მაგალითად, კულტურის სამინისტრომ...**

– არა, ბატონო, არა, ჩემო კარგო!.. მხოლოდ სამეგობროს აზრი გამოითქვა...

**– ისე, მაგარია არა?.. ნობელის პრემიის ლაურეატი ბესიკ ხარანაული!..**

– კი ბატონო, არ ჟღერს ცუდად, მაგრამ უდიდეს ქართველ პოეტთა სახელებს (უმკაცრესი ცენზურა რომ გამოიარეს და დღეს ცოცხლები არ არიან), რა ვუყოთ?!




„ამბა ბესარიონის“ ფრანგული გამოცემის გარეკანი.

რამდენიმე მათგანი ხომ უთუოდ იმსახურებს ნობელის პრემიას!.. ამ საკითხში უმანკო ვარ, და, ღმერთმა დამიფაროს, მართლაც რომ ნობელის პრემიის ლაურეატობაზე „გავიქაჩო“.

**– ეტყობა, თქვენი ლექსების კრებულის ფრანგულმა გამოცემამაც გვარიანად შეუწყო ხელი ამ ხმების გავრცელებას...**

– შეიძლება... თუმცა, კავშირს, მაინც ვერ ვხედავ... ფრანგულ ენაზე ჩემი ლექსების კრებულის გამოცემა მოინდომა ნიჭიერმა პოეტმა და ფრანგული ენის ბრწყინვალე მცოდნემ – ომარ თურმანაულმა.

**– ვიცნობ, ჩვენი ძმა იყო...**

– ჰო, ერთხანს ისე გაუჭირდა, წიგნები გამოჰქონდა და ყიდდა რუსთაველზე. მერე, როგორც ზღაპრის გმირს, ისე მოუვიდა – ჩავიდა პარიზში, გადაიტანა ათასი გაჭირვება და დღეს უკვე იქაური შემოქმედებითი ინტელიგენციისთვის დიდად პატივსაცემი კაცია. ჩამოდის ხოლმე ომარი საქართველოში, ერთხელაც, მითხრა, შენი „ამბა ბესარიონის“ თარგმნა დავიწყე მარი ფრენინგთან ერთად და ვნახოთ, რა გამოვაო... უთარგმნიათ პოემა, ერთი თავი დაუბეჭდავთ კიდეც გაზეთში, რომელიც არაკომერციულ ლიტერატურას უწევს პოპულარიზაციას და, როგორც ჩანს, ისე მოეწონათ პოემის ნაწყვეტი, რომ ერთ-ერთ გამომცემლობას ცალკე წიგნად აუკინძავს „ამბა ბესარიონი“.

**– ჰოდა, რახან ამის გამო მიგიწვიეს საფრანგეთში, ეტყობა ამანაც გააძლიერა „ნობელიანტობის“ ეჭვი...**

– არაფერი მაგის მაგვარი!.. სულ ეგ იყო, რაც იყო!..

**– ცხადია, საინტერესო შეხვედრები გქონდათ იქ...**

– დაუვიწყარი... სტრასბურგში, პარიზში ჩემი წიგნის წარდგენას ესწრებოდნენ ქართველი ემიგრანტები, მოვიდნენ მიხეილ კობახიძე და თემურ ბაბლუანი... სხვები და სხვები... შესანიშნავი იყო...

რა თქმა უნდა, ფრანგული პრესა გამოეხმაურა ქართველი პოეტის ამ ქვეყანაში მოგზაურობას. ერთ-ერთ გაზეთში ვკითხულობთ:

**„სამოცდაათი წლის ასაკში ბესიკ ხარანაულმა ნაციონალური აღიარება მოიპოვა თავის ქვეყანაში და სახელმწიფო ჯილდოც – რუსთაველის პრემია მიიღო. პოეტმა არაფერს არ შესწირა პოეტური ქმნილების მოთხოვნები, რომელიც იყო ამოძახილი სულისა, საქართველოს მთიანი მწვერვალებისკენ რომ მივყავართ. საქართველო არის მიწა კონტრასტებისა, სადაც სათნოება და ქრისტიანობა შეჯვარებულია. ეს არის გზაჯვარედინი სპარსთა, ბიზანტიელთა, არაბთა, მონღოლთა, რუსთა და კომუნისტთა.**

**საბჭოთა კავშირის პერიოდში ბესიკი ხელახლა იგონებს, აცოცხლებს ქართულ პოეზიას, ათავისუფლებს კალამს ყოველგვარი ფორმალიზმისგან, რომელიც იმ პერიოდში მეტად აქტუალური იყო. საბჭოთა კავშირის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს არ მოსწონთ ეს ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა და მის მიმდევრებს ირონიით „ვერლიბრისტებს“ უწოდებენ. ბესიკის ვერლიბრები მასპინძლობს მთის აქცენტსა და ტონალობას, ადგილობრივ სიტყვებს, იჭერს ხასიათს ლირიზმის გარეშე. აქ პოეზია ყოველდღიური ცხოვრების ამოძახილია.**

**ამბა ბესარიონის წიგნიდან („გამომც. „კიდამი“) ყველა ეს ხმა ამოტივტივებულია დაქუცმაცებული სამყაროს გასამთლიანებლად“.**

* * *

ჰოდა, ეს კაცი გუშინწინ მყავდა სტუმრად რედაქციაში. კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება თავს არიდებს თვითრეკლამასა და ჟურნალისტებთან ურთიერთობას, ეძებს და ეძებს, ქმნის და ბეჭდავს, შეიძლება ითქვას, განსაცვიფრებელ ლექსსა და პროზას, სახელდებულია თანამედროვე ქართული ვერლიბრის ერთ-ერთ ფუძემდებლად, ნოვატორად, თავისუფლების აპოლოგეტად...

თვითონ მოვიდა, ანუ ერთი შტრიხიც გამოკვეთა თავისი თავმდაბლობისა, უბრალოება იმ თიანელი ბიჭისა, ნახევარი საუკუნის წინათ, სტუდქალაქში რომ ცხოვრობდა და დიდ გასავლელ გზას ზვერავდა, აღმართ-დაღმართიან, პოეტური სახეებითა და მეტაფორებით აფერადებულ გზას.

...ვსხედვართ, ვიგონებთ სტუდქალაქის განუმეორებელ დღეებს (მეც ხომ „ძველი“ სტუდქალაქელი ვარ).. ორი წელი სვანებთან ვცხოვრობდიო, ჟორა სუზელიანი უფროს ძმასავით მპატრონობდაო... მერე იგონებს თიანეთს, დედას და ქალბატონ რუსუდან გელოვანს – მირზა გელოვანის უსაყვარლეს დაიას – ამათ შემამყვარეს ქართული ენაო...

ვეუბნები:

**– ვერლიბრი, თეთრი ლექსი, თითქოს, მოულოდნელი იყო თქვენი კუთხის კაცისგან...**

– შეიძლება, მაგრამ უცხოც არ არის. ჩვენ ხომ ცხრამარცვლიან გაურითმავ „ნატირლებზე“, „მთიბლურებზე“ ვართ გაზრდილი. იცი, რა საინტერესოა ამ მხრივ სვანური პოეზიის ნიმუშებიც? ეს ყოველივე, ეტყობა, ჩემში არსებობდა, ჰოდა, რომ დავიწყე დოგმით, მერე მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე, ჩემი შინაგანი სამყარო...

**მშვიდად, მშვიდად იარე,**
**ჩემო ლურჯთვალება მოთმინებავ.**
**ქალაქს რომ გასცდები,**
**სოფელი შეგეყრება.**
**ბედნიერი ხარ, არაფრისა არ გეშინია,**
**რადგანაც უკვე დიდი ხანია,**
**სიზმარი ცხადში აგრევია.**

რა თქმა უნდა, ძნელი იყო თვითდამკვიდრება, რა თქმა უნდა, დოგმაზე გაზრდილ მკითხველს ეუცხოებოდა ფიქრისა და განცდის ესოდენი თავისუფლება, ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ვერ შეხვდებით „პატრიოტული შემართების“ ჯახაჯუხს, სამშობლო მის ყოველდღიურ არსებობაში ერთიანდება, განყენებულად არასოდეს აღიქმება. ლიტერატურათმცოდნე ლალი ავალიანის აზრით: **„თანამედროვეობის მწველი და ცხოველი განცდა, გამოტანჯული მორალურ-ეთიკური ძიებანი, სწრაფვა მარადიული ფასეულობების სიღრმისეული წვდომისაკენ, ამასთან, იაფფასიანი პათეტიკის, „გალექსილი ყოველდღიურობით“ ცდუნების სრული უგულებელყოფა, ქმნის ბესიკ ხარანაულის შემოქმედებით დვრიტას“.**

სწორედაც!..

ბესიკ ხარანაული დღესაც, უკვე 70 წლის ასაკშიც სიახლეთა მძებნელია, სრულიად განსაკუთრებულია ამ მხრივ ახლახან გამოცემული მისი წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა – **„სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი“,** იმ დღეს გულითადი წარწერით რომ მისახსოვრა და, რომელიც გვარიან „ჩაჯდომას“ მოითხოვს მკითხველისგან, რათა ჩავწვდეთ მწერლის ურთულეს შემოქმედებით სამყაროს.

ეს მხოლოდ ბესიკ ხარანაულის სამყაროა...

**ვილენ მარდალეიშვილი**



ბესიკ ხარანაული და ფრანგი გამომცემელი პასკალ არნო.

პოეზია

## ლექსის წერა ბედია და საღვთო უღელი

**ირმა მებურიშვილისადმი**

რა დრო გასულა!

ჩვენი შვილებიც საიუბილეო თარიღებს ეგებებიან. მე წავიკითხე შენი წიგნი და მადლობას გიხდი მშვენიერი ქართულისთვის!

მე წავიკითხე შენი წიგნი, ტკივილითა და ქალური განწყობებით სავსე, რომელიც სრულ უფლებას მაძლევს, მოგილოცო არა თარიღი, არამედ იმ სამყაროს არსებობა, რომელშიც ბრუნავ და რომელიც გიკარნახებს და ძალას გაძლევს ებრძოლო სიტყვას, რამეთუ, თუ სიტყვამ დაგამარცხა, ვერასოდეს ვერ გასწორდები და თავისთავად შეუერთდები იმ



გრაფომანების და უხამსთა ბრბოსა და ლაშქარს, რომელნიც ასე მეთოდურად ანგრევენ ჩვენს გზასა და სულიერებას.

მადლობა უფალს, შენ აქეთ ხარ, განწირული მარტოობისთვის, სევდისა და სიხარულისთვის და რაც მთავარია, შენი მშობლიური ენის, შენი ღვთითკურთხეული მამულის დაცვისა და მსახურებისთვის!

ლექსის წერა ბედია და საღვთო უღელი, რასაც გილოცავ და გისურვებ ყველა სიკეთეს!

პატივისცემით

**რეზო ამაშუკელი**

2010 წ. 1 მარტი

## ის მიგვიძღვება ღვთისაკენ...

**უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს**

**ღვთისმშობლის ხატით ზეციურ**
**სასუფევლიდან დავლოცე**
**მამაი ჩვენი ილია,**
**ის სწყალობს პოეტ-სალოსებს.**

**მკითხავთ მას, ღვთისგან დალოცვილს,**
**ვით გავუბედე ლოცვაო,**
**გაბრწყინდი მისი დალოცვით,**
**ქართულო მიწავ და ცაო.**

**მტკიცედ დაუდგა პირისპირ**
**განსაცდელს ერის მისაგებს,**
**ილოცეთ მისთვის, ქართველნო,**
**ის მიგვიძღვება ღვთისაკენ.**

**ბრძენთუბრძენესი, გსმენიათ,**
**რა ძველ ქართულით ქადაგებს,**
**დაგემოვნებით შესასმელს**
**მოჰგავს ზედაშე-ბადაგებს.**

**რა ფრთხილად გვესაუბრება,**
**სიტყვებს მარცვლავს და ყოვნდება,**
**გინახავთ, სიყვარულის წილ**
**თქვენ მისი გაცისკროვნება?!**

**ის მოგვიწოდებს, ქართველნო,**
**ღვთის ძალის მოსაპოვებლად,**
**ყოველ უფლის დღეს გვითენებს**
**ლოცვით – „მშვიდობა ყოველთა“.**

**მან რომ იღვაწა ერისთვის,**
**ვინ შეიძლებდა იმოდენს,**
**იხილეთ სულის თვალებით,**
**უფლის წინ როგორ ვიდოდეთ.**

**ღვთივკურთხეული მამული,**
**ენა და სარწმუნოება –**
**ღვაწლდებით იხსნა, არ ითნევს**
**ამ სოფლის ამაოებას.**

**სამოსელისთვის მზრუნველნი**
**შთაეგზავნიან თორნესა,**
**ტაძრები უგო ქრისტეს და**
**მის მოციქულებს თორმეტსა.**

**უსაყვარლესი ღვთისმშობლის**
**ხატი ვუფარე, დავლოცე.**
**განსაცდელს მისას, ვით შვენის**
**მეომარ პოეტ-სალოსებს.**

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით

**ირმა მებურიშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# აშშ კავკასიის გამო შიშობს

**„იმედის“ სიუჟეტი საქართველოში რუსეთის გამოგონილი შეჭრის და ამჟამინდელი რეჟიმის დამხობის შესახებ შეიძლება გახდეს კავკასიაში რეალური კონფლიქტის აგიზგიზების საბაბი. ამის შესახებ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის ანალიტიკური ქვედანაყოფის დირექტორმა მეთიუ ბეროუზმა. მან მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდა. რამდენიმე ხნით ადრე ტელეარხი „იმედი“ გააკრიტიკა ნატომ, რომელმაც რეპორტაჟს „უგუნური“ და „უსარგებლო“ უწოდა. გაირკვა აგრეთვე, რომ სიუჟეტის ჩვენების შემდეგ საქართველოს არმიაში გამოცხადდა სამხედრო განგაში**

„ჩვენ მართლაც შეშფოთებული ვართ კავკასიაში დაძაბულობასთან დაკავშირებით, – მოჰყავს ბეროუზის სიტყვები „იტარ-ტასს“. – ჩვენ შეშფოთებული ვართ იმით, რომ რაიმე ამისმა მაგვარმა შეიძლება კონფლიქტი ააგიზგიზოს. ამიტომ ჩვენი მთავარი საზრუნავია – შევეცადოთ მივაღწიოთ, რომ ორივე მხარემ შეიკავოს თავი“.

ტელეარხის სიუჟეტი აჩვენეს 13 მარტს, შაბათს, როდესაც ტელეეკრანებთან იკრიბება მასობრივი აუდიტორია. მიუხედავად იმისა, რომ რეპორტაჟის წინ და დასრულების შემდეგ გაიელვა გაფრთხილებამ მოვლენათა სცენარის ჰიპოთეკური განვითარების შესახებ, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, ბევრმა მაყურებელმა რუსეთის ტანკების დანახვის შემდეგ ნანახი რეალურად მიიჩნია. ქვეყანაში დაიწყო პანიკა. როგორც მინიმუმი, სამი მოქალაქე გარდაიცვალა ნერვული სტრესის შედეგად.

მეორე დღეს ტელევიზიის მუშაკები დაგმეს ოპოზიციურმა ლიდერებმა. მათ განაცხადეს, რომ სიუჟეტი სანქცირებული იყო ხელისუფლების მიერ, ვინაიდან „იმედის“ სათავეში დგას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი ლოიალური პიროვნება, მისი ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი გიორგი არველაძე.

უფრო მეტიც, კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ნატოს რამდენიმე ქვეყანამ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სიუჟეტს „მეტად უცნაური და აბსოლუტურად უადგილო ინიციატივა“ უწოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბაასმა კი განაცხადა, რომ პროგრამა-იმიტაცია „არ შეესაბამებოდა ჟურნალისტურ სტანდარტებს“.



ოთხშაბათს ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ, რომელიც ალიანსის გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის სახელით გამოდიოდა, განაცხადა, რომ ტელერეპორტაჟი იყო „უგუნური“ და „არასასარგებლო“. „ასეთ სიუჟეტს ნატო პოზიტიურად ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიჩნევს“, – თქვა აპატურაიმ.

აღვნიშნავთ, რომ მეთიუ ბეროუზის განცხადება ეხმიანება ნატოსთან რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის დიმიტრი როგოზინის სიტყვებს, რომელმაც „იმედის“ გადაცემას „გრანდიოზული პროვოკაცია“ და საინფორმაციო ომის ნაწილი უწოდა. „ეს არის რუსეთის, რუსების სახით მყარი „მტრის ხატის“ ჩამოყალიბება, ეს არის დაძაბულობის შექმნის მცდელობა საქართველოს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებთან“, – აღნიშნავდა როგოზინი.

მან სიუჟეტს სახელმწიფო პროგრამის ნაწილი უწოდა, „რომელიც მიზნად ისახავს ქართველთა შეგნების მომზადებას ახალი ომისთვის“.

შეკითხვაზე, აცნობებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვა თავის მოწოდებებს პარტნიორებს უცხოეთში და აქვს თუ არა მას საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობა, მეთიუ ბეროუზმა განაცხადა, რომ ფუნქციურად ერთმანეთისგან განსხვავდება დაზვერვა და დიპლომატია.

„უცხოეთში გასვლა, დიპლომატიური მცდელობანი სხვადასხვა პარტნიორებთან რეგიონში – ეს სახელმწიფო დეპარტამენტის საქმეა, – თქვა ბეროუზმა. – ეს ჩვენი როლი არ არის. ჩვენ ანალიტიკოსები ვართ. ჩვენ ვსწავლობთ ინფორმაციას და მის შესახებ, რაც ჩვენ გვაღელვებს, ვაცნობებთ სათანადო ინსტანციებს“.

აღვნიშნავთ, რომ ბევრი ქართველი ჟურნალისტი ამტკიცებს სიუჟეტის მომზადებაში ამერიკელი სპეციალისტების მონაწილეობასაც. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის „ობიექტივის“ თავმჯდომარემ ირმა ინაშვილმა გვაცნობა, რომ სააკაშვილი და მისი ამერიკელი „პიარშჩიკები“ თავად ამზადებდნენ პროვოკაციას „რუსეთის სამხედრო შეჭრის შესახებ“.

„ჩემს წყაროებს თუ დავუჯერებთ, რომლებიც დაკავშირებული არიან ხელისუფლების მაღალ წარმომადგენლებთან, ამ სიუჟეტს ამზადებდნენ რამდენიმე კვირის განმავლობაში, იგი ნახა და რედაქტირება გაუწია მას თავის კაბინეტში სააკაშვილმა, მის მომზადებაში მონაწილეობას ღებულობდნენ არა მხოლოდ ქართველი ჟურნალისტები, არამედ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაქირავებული ამერიკელი იმიჯმეიკერებიც“, – განაცხადა ინაშვილმა.

ოფიციალური ბოდიში ქვეყნის მოსახლეობისა და უცხოელი დიპლომატების წინაშე, ვისი კომენტარებიც მათი ნების გარეშე იქნა გამოყენებული სიუჟეტში, ტელეარხმა 20 მარტს მოიხადა. „იმედისგან“ ბოდიშის მოხდა მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამაც.

„იმედმა“ აღიარა, რომ ყველა განცხადება სიუჟეტის მსვლელობის დროს იყო იმიტაცია და არ ასახავდა დიპლომატების რეალურ პოზიციას. ტელეკომპანია დათანხმდა აგრეთვე, რომ ინდივიდუალურად განიხილოს ყველა საჩივარი და პირობა დადო, რომ ამიერიდან დაიცავს ჟურნალისტურ ეთიკას. მაგრამ ბოდიშის მოხდაში ნახსენები არ იყო ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელსაც სამოქალაქო მოსახლეობაზე ნაკლებად როდი შეეშინდა ამ სიუჟეტისა.

კვირის დასაწყისში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი, გენერალი ბადრი ბიწაძე იტყობინებოდა, რომ ეთერში სკანდალური სიუჟეტის გასვლის შემდეგ საქართველოს არმიის ყველა ნაწილში გამოცხადდა სამხედრო განგაში. ის ამტკიცებს, რომ არმია არ გაუფრთხილებიათ პროვოკაციული სიუჟეტის შესახებ. „არმია მასობრივად უკმაყოფილოა“, – თქვა მან.

„იმედის“ სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს არმიის ნაწილებმა დაიწყეს გადასვლა „პრორუსული ოპოზიციის“ მხარეზე.

**ანდრეი რეზჩიკოვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**პაკისტანში ერთი დღე-ღამის განმავლობაში 82 ბოევიკი გაანადგურეს**

61 კაცი დაიღუპა ავიადარტყმის შედეგად, რომელიც მოახდინეს ავღანეთის საზღვართან. ამ ადგილას, სავარაუდოდ, მიმდინარეობდა „თალიბანის“ მოძრაობის ლიდერების შეხვედრა. პარასკევ ღამით ბლოკპოსტისთვის ბრძოლის დროს დაიღუპა 21 ბოევიკი, ხუთი პაკისტანელი სამხედრო.

* * *

**ჰოლანდიური კოფე-შოპის მფლობელი 10 მილიონი ევროთი დააჯარიმეს 400 კგ კანაფის შენახვისთვის**

მედი ვილემსენი აღიარეს დამნაშავედ ადგილობრივი ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დარღვევაში. კანონის მიხედვით, კოფე-შოპში ნებადართულია არა უმეტეს 500 გრამი მარიხუანას შენახვა. სასამართლომ შეამცირა ჯარიმის თანხა, აღნიშნა ხელისუფლების ნაწილობრივი ბრალიც, რომელიც ზოგჯერ თვალს ხუჭავს დანაშაულებზე.

* * *

**ბრიტანეთის დაზვერვა: ტერორისტი ქალები ბომბებს ჩაიდებენ ხელოვნურ მკერდში და დუნდულებში**

„ალ-ყაიდასთვის“ მომუშავე მედიკოსები, რომლებმაც სწავლება ბრიტანეთის წამყვან კლინიკებში გაიარეს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს ჩაიდებენ პლასტიკური ოპერაციების დროს. ასეთი კანქვეშა იარაღის ამოცნობა თითქმის შეუძლებელი იქნება შემოწმებების დროს, იტყობინებიან სპეციალური სამსახურები.



# პრეზიდენტო ობამავ, გეთაყვა, მიხეილ სააკაშვილი სტუმრად არ მიიღოთ!

**სტატია გამოქვეყნდა გაზეთის სპეციალურ სარეკლამო გვერდზე, რომელიც შესყიდული აქვს ორგანიზაცია „რუსეთ-ამერიკის ალიანსს“.**

**როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს განზრახული აქვს აპრილში ჩავიდეს ვაშინგტონში, რათა შეხვდეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მათ შორის სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს და, შეიძლება, პრეზიდენტ ბარაკ ობამასაც. როგორც იტყობინებიან, ეს ვიზიტი გახდა იმ კამპანიის შედეგი, რომელიც მოაწყვეს სააკაშვილის ლობისტებმა და რომელთა რიგებიც ამას წინათ გაიზარდა ორი კომპანიით**

ამ გვერდზე გამოქვეყნებული წინა მასალები გვიამბობდნენ სააკაშვილის ცვალებად და სახიფათო ქცევაზე, რისი ნიმუშიც გახდა მისი თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე 2008 წლის აგვისტოში, რასაც მოჰყვა მისი რუსეთის ძალებიდან სასწრაფო უკუგდება; მისი სულ უფრო და უფრო მზარდი რეპრესიული პოლიტიკა მასობრივი ინფორმაციების საშუალებებისა და პოლიტიკური ოპონენტებისადმი; მისი მხარდაჭერა რუსეთის ობიექტების წინააღმდეგ იყო მიმართული ჯიჰადების ტერორისტული ოპერაციებისადმი კავკასიის რეგიონში.

ასეთი პროვოკაციული და რუსეთისადმი აკვიატებული მტრობის უკანასკნელი გამოხატულება გახდა 13 მარტის შაბათი საღამო, როდესაც ქართულმა ტელეარხმა „იმედმა“ მაყურებელს უჩვენა სიუჟეტი პირდაპირ ეთერში, რომელშიც იტყობინებოდნენ საქართველოზე რუსეთის თავდასხმის შესახებ. სიუჟეტში იყო 2008 წლის ომის საარქივო გადაღებები, რომლებიც წარმოჩენილი იყო, როგორც ომის მიმდინარეობა და აგრეთვე „ცნობა“, რომ უცნობია სააკაშვილის ადგილმდებარეობა და რომ იგი შეიძლება მოკლულიცაა. პრეზიდენტი ობამა აჩვენეს კადრს მიღმა ქართულად თარგმნილი ტექსტით, რომელიც თითქოს აფრთხილებდა რუსეთს – შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებანი.

საქართველოს მოქალაქეების განგაშმა, რასაკვირველია, ვერ მიაღწია 1938 წლის დონეს, როდესაც ორსონ უელსის წიგნის „სამყაროთა ომის“ მიხედვით მომზადებულმა რადიოტრანსლაციამ შეძრა ამერიკელები მარსელების გამოგონილი შემოჭრით, მაგრამ საკმაოდ სერიოზული იყო მაინც: ხალხი პანიკურად ყიდულობდა საჭმელს და საწვავს, ბანკებიდან ხსნიდა ანგარიშს და ურეკავდა მეგობრებსა და ნათესავებს, მწყობრიდან გამოჰყავდა ქართული მობილური ტელეფონის ქსელები. სასწრაფო დახმარების სამსახურები იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ გამოძახებების რაოდენობა გაიზარდა სამჯერ და ბევრი მათგანი დაკავშირებული იყო გულის შეტევებთან.

გაბრაზებული ქართველები დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ „იმედის“ წინ, რათა გამოეხატათ პროტესტი სიუჟეტთან დაკავშირებით. ოპოზიციური ლიდერები – ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სააკაშვილის ყოფილი მოკავშირე ნინო ბურჯანაძე, წარმოჩენილი იყო სიუჟეტში როგორც რუსეთის აგრესიით გახარებული, – ბრალს სდებენ გადაცემაში სააკაშვილს. „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე ამის უკან პრეზიდენტი იდგა“, – თქვა ბურჯანაძემ.

მიუხედავად ოფიციალური უარყოფისა, მტკიცება იმის შესახებ, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია „ფსევდოდოკუმენტურ“ ფილმთან, სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა სიუჟეტს „მეტად საგანგაშო“, უპასუხისმგებლო და არაკონსტრუქციული უწოდა. დიდი ბრიტანეთის ელჩმა დენის კიფმა გამოხატა თავისი გაბრაზება კიდევ უფრო მკაცრი სიტყვებით, იგი აღშფოთებული იყო თავისი პერსონის საარქივო გადაღებების გამოყენებით ყალბი ინფორმაციის პრეზენტაციის მიზნით. ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიამ, რომელიც კონტროლს უწევს რუსეთ-საქართველოს ომისშემდგომ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს, განაცხადა, რომ ამგვარი „უპასუხისმგებლო პროგრამული გადაწყვეტილებანი“ შეიძლება გახდეს მიზეზი სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის საზღვრებთან. „სახიფათო და მნიშვნელოვანი ინციდენტები შეიძლება მომხდარიყო, – განაცხადა მისიის წარმომადგენელმა. – ჩვენ მოვუწოდებთ ხალხს, ვისაც უჭირავს პასუხსაგები თანამდებობები, მომავალში წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი მოქმედებათა შედეგები“. მაგრამ სწორედ ეს არის პრობლემა: მომავალში სააკაშვილისგან შეიძლება ველოდოთ სწორედ რაღაც ამგვარს.

ერთია, თუ ქართველებს ენდომებათ, რომ პრეზიდენტმა თავის ძლიერ მეზობელს თვალში ატაკოს თითი, აჩვენოს თავისი უგუნური რუსოფობია, ანდა თავის ყველასთვის ნაცნობი სურვილი – მოახდინოს თავისი ცუდი ამბებით ცნობილი თანამემამულის იოსებ ჯუღაშვილის კოპირება, რომელიც აგრეთვე ცნობილია, როგორც იოსებ სტალინი. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვეულებრივ ქართველებს ეს არ სურთ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხებთან ერთად ქართველებმაც დიდი საფასური გაიღეს სააკაშვილის უგუნური ქცევების გამო. არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ ქართველები გამოიტანენ ერთ სარგებელს უსააკაშვილო მომავლიდან, როდესაც აღადგენენ კეთილმეზობლურ ურთიერთობას რუსეთთან და დათანხმდებიან სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ერთობლივ არსებობაზე, შეიძლება, კონფედერაციის ფორმით. კვლავ და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი იყვნენ საბჭოთა საქართველოს ნაწილი მხოლოდ იმიტომ, რომ „ბიძია ჯომ“ რეგიონალური რუკა გადააკეთა თავისი სურვილის მიხედვით. მაგრამ დესტაბილიზაციის პროცესი პოსტსაბჭოთა სივრცეში უცილობელია. რა ძალითაც უნდა ცდილობდეს სააკაშვილი თავისი არაადამიანური წინამორბედის კოპირებას – შეაბრუნოს მდინარეები ალმა – მხოლოდ გააუარესებს სიტუაციას.

ჩვენთვის, ამერიკელებისთვის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ სააკაშვილმა არ ჩაგვითრიოს თავის ავანტიურებში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ ზოგიერთი ჩინოვნიკი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში ცდილობდა მიეღწია საბრძოლო მოქმედებებისთვის რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში, რითაც ეწეოდნენ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის რისკს, რაც, საბედნიეროდ, თავიდან მოვიშორეთ. ვერანაირი ამერიკული ინტერესი ვერ გაამართლებს ასეთ რისკს და არანაირი ამერიკული ინტერესი ვერ მოიგებს იმით, რომ შეაჩეროს სააკაშვილის სულ უფრო ქვევით მიმავალი პოპულარობა საკუთარ ხალხს შორის.

რამდენი ლობისტური ფულიც მან არ უნდა დახარჯოს, საქართველოსთვის ამერიკის მიერ გაწეული დახმარების გათვალისწინებით, სააკაშვილს უნდა ვუთხრათ, რომ მისი ჩამოსვლა აქ არ უხარიათ. პრეზიდენტმა ობამამ, რომელმაც გონივრულად დაიწყო ჩვენი კავშირების განტვირთვა რუსეთთან, რომელიც ამერიკის მოკავშირეა ჯიჰადის მსოფლიო იდეოლოგიის დაპირისპირებაში, აშკარად უნდა აგრძნობინოს სააკაშვილს, რომ მან ბოროტად გამოიყენა ვაშინგტონის სტუმართმოყვარეობა.

The Washington Times

## ⊙ ნიჭიერება უსაზღვროა

***მალე ამერიკული ჯორჯიის დედაქალაქ ატლანტაში, მოგვიანებით კი უკვე მშობლიურ თბილისში ჯულიარდის პირველი ქართველი სტუდენტის დათო ალადაშვილის კონცერტები გაიმართება. მანამდე კი 19 წლის პიანისტს საკმაოდ სერიოზული „მოთელვა“ ჰქონდა — სოლო კონცერტი ლეგენდარულ „კარნეგი ჰოლში“, სადაც იგი მისი ყველაზე საყვარელი კომპოზიტორების: ბახის, შუმანისა და შოპენის ნაწარმოებებს ასრულებდა. „მგონი, კონცერტმა კარგად ჩაიარა — ამბობს დათო. — ამის თქმის უფლებას ჩემი პედაგოგების შეფასებები და მსმენელთა რეაქცია მაძლევს. დარბაზში ამერიკელების გარდა აქ მცხოვრები ქართველებიც ისხდნენ, ამიტომ ბისზე რევაზ ლაღიძის „რონდო ტოკატა“ შევასრულე“...***

# დათო ალადაშვილის „კარნეგული“ რონდო...

დათო „არამუსიკალურ“ ოჯახში დაიბადა: დედ-მამა ექიმები არიან, დაც მშობლების პროფესიას ირჩევს. ვინ იცის, იქნებ ისიც მედიცინის შესწავლას შესდგომოდა, რომ არა პატარაობაში დედის მიერ ნასწავლი ნოტები. როცა მოგვიანებით დათო სასწავლებლად კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის მე-7 სამუსიკო სკოლაში მიიყვანეს, პირველში კი არა — პირდაპირ მეოთხე კლასში დასვეს. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ კი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართულ სამუსიკო გიმნაზიაში ჩაირიცხა, პედაგოგ დოდო ცინცაძის კლასში; შემდგომ თბილისის კონსერვატორიაში, პარალელუარად — ნიუ-იორკის ჯულიარდის სკოლაშიც და ამიტომაც აღმოჩნდა ამერიკაში. მანამდე კი არაერთი კონცერტი და კონკურსი — თბილისში სწავლის დროს იგი რამდენჯერმე რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი გახდა; პარიზში — ნიკოლაი რუბინშტეინის სახელობის პიანისტთა მე-8 საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი. ასევე მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში გამართულ კონცერტებში. არის ვლადიმერ სპივაკოვის სახელობის საერთაშორისო ფესტივალის სამგზის მონაწილე. ახლა კი ნიუ-იორკშია. თანაც უკვე მარტო არაა. აქ მასთან ერთად, ოღონდ პრეკოლეჯში მისი მეგობარი — ჯაზის უნიჭიერესი შემსრულებელი ბექა გოჩიაშვილი სწავლობს. დათოს არ უყვარს როცა ეკითხებიან, დღეში რამდენ საათს მეცადინეობო. თუმცა დასძენს: „რომ შემეძლოს 24-ე საათს, 25-ესა და 26-ესაც თავისუფლად მივახატავდიო“...

— 2007-08 წლებში აშშ-ის სამ წამყვან კონსერვატორიაში ჩავაბარე: ბოსტონში, კლივლენდსა და ნიუ-იორკში. არჩევანი ნიუ-იორკზე შევაჩერე. — მიყვება იგი. — თავდაპირველად დისკის სახით ჩემი საფორტეპიანო ჩანაწერი გაიგზავნა. მან პირველადი შერჩევა გაიარა, მიმიწვიეს და შემდგომი მოსმენისთვის (Auditionძ უკვე ნიუ-იორკში გახლდით. ჩავირიცხე პრეკოლეჯში, ვიქტორია მუშკატკოლის კლასში, რომლისგან რჩევებს დღემდე დიდის მადლიერებით ვიღებ. პირველი წელი ვცხოვრობდი ნონა და გია შენგელაიების ოჯახში. ნონა შენგელაია ჯუილიარდის კონსერვატორიის უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობის ადმინისტრაციული დირექტორია. მათთან ისე ვიყავი, როგორც საკუთარ ოჯახში და დღემდე ვგრძნობ ამ ადამიანების დიდ მხარდაჭერას. ამჯერად ჯულიარდის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი გახლავართ. ჩემი პედაგოგი კი მსოფლიოში ცნობილი პიანისტი და მუსიკოსი, პროფესორი ჯერომ ლოუენთალია, რომელთანაც მოხვედრა ბევრი პიანისტის ოცნებაა.

**— დათო, ჯულიარდში სწავლა ძალიან ძვირი ღირს...**

— დიახ. ჯულიარდში, როგორც მსოფლიოში ყველა პრესტიჟულ სასწავლებელში სწავლა, მართალც რომ ძვირადღირებულია. მე ვარ საქართველოს პრეზიდენტის ორგზის სტიპენდიანტი. აქ ასევე მაქვს საკმაოდ მაღალი სტიპენდია, დანარჩენ ხარჯებს კი საქართველოს განვითარებისა და რეფორმების ეროვნული ფონდი მიფარავს. სტიპენდია პაატა ბურჭულაძემაც დამინიშნა. ნიუ-იორკშიც სასწავლებლად სწორედ ფონდ „იავნანას“ ხელშეწყობით ჩამოვედი...



**— როცა ჯულიარდისგან უკვე შორს კი აღარა ხარ, არამედ უკვე ხარ ნამდვილი ჯულიარდელი, როგორია იგი?**

— ჩემთვის უპირველესად ჯულიარდი მსოფლიოში უმაღლესი დონის სამუსიკო სკოლაა, სადაც სხვადასხვა დროს ისეთი ცნობილი მუსიკოსები სწავლობდნენ, როგორებიც არიან ვან კლაიბერნი, რენე ფლემინგი, ემანუელ ექსი და სხვები. ჯულიარდში დღემდე მსოფლიო დონის მუსიკოსები მოღვაწეობენ. ჩემმა ყოფილმა პედაგოგმა ვიქტორია მუშკატკოლმა ვლადიმერ ნილსენის სახელობის ფესტივალი დააარსა და მეც ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ ფესტივალში აქტიურად ვმონაწილეობ. იგი ყოველ აგვისტოს ნიუ-იორკში საგ-ჰარბორზე იმართება.

სწავლის დროს არა-ერთი სოლო კონცერტი გამიმართავს ნიუ-იორკში — თავად ჯულიარდში, „მერკინ ჰოლში“, ბოლოს — „კარნეგი ჰოლში“; ვაშინგტონშიც ამერიკაში საქართველოს საელჩოს მიწვევით, საქართველოს სათვისტომოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებშიც ხშირად ვმონაწილეობ.

უმაღლესი პროფესიონალიზმის გარდა, აქ ჩემთვის დაუვიწყარი და განსაკუთრებით შთამბეჭდავია სტუდენტსა და პროფესორებს შორის არსებული თბილი ურთიერთობა, გასაოცარი სუბორდინაცია და ამავდროულად სტუდენტის ინდივიდუალიზმის მაქსიმალურად გამოვლენის მხარდაჭერა. თბილისის კონსერვატორიაში ჯულიარდის პროფესორთა მასტერკლასებს დიდი სიამოვნებით მოვაწყობდი. ეს ქართველ სტუდენტებს დიდად წაადგებოდათ.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

## ⊙ კოლეგა

# მზის ამოსვლის წინ

## თეიმურაზ ქორიძე - 60



**ამ ორი ათეული წლის მანძილზე ქართული დემოკრატიის მთავარი მამოძრავებელი ღერძი პოლემიკა იყო. მართალი სიტყვა ზღუდავდა და ბოჭავდა უზნეო მოხელეებს. ნიჭიერმა პუბლიცისტებმა შეძლებისდაგვარად დაიცვეს ადამიანი და ადამიანური ღირებულებანი, გამოააშკარავეს საზოგადო და სახელისუფლებო სნებანი და მანკიერებანი.**

ისინი წინააღმდეგობით სავსე, პარადოქსების ქვეყანას ნუგეშად და იმედად მოევლინნენ. ვფიქრობ, რჩეულ კალმოსანთა შორის ერთ-ერთ გამორჩეული ბატონი თეიმურაზ ქორიძეა. მის ესეებსა და ნარკვევებში ბეჩავად გამოიყურება ჩვენი ცხოვრება. ჩვენი გაღატაკებული სოფლები და ქალაქები. დახატულია ელვარე „სამეფო კარი“, ჩანს უსამართლობისა და უთანხმოების ძირითადი მიზეზები და, ისიც, თუ რა შეიძლება მოჰყვეს სულიერი ღირებულებების ნომინალიზაციას.

ბრძენის მოსასხამი უმეცარს მოურგია, წმინდანის მანტია — ქვეყნის დამაქცევარს და ივედრება პუბლიცისტს დამბადებელმა ოთხივ კუთხით კედლები ამოუშენოს, რომ ველარაფრით შეძლოს სამშობლოდან გაქცევა.

ეს მისი ხასიათის ერთი შტრიხია დაქცეული სამშობლოს მიმართ მისი დამოკიდებულების გამოხატულება.

რა პრობლემას არ ეხება თეიმურაზ ქორიძე, რა საკითხს არ სვამს. ამ პირუთვნელ კალმოსანს მხედველობიდან თითქმის არა გამორჩენია რა. ჩვენი არეული, დაულაგებელი ცხოვრების ორომტრიალშია. არც თავს ზოგავს და არც საკუთარ ოჯახს.

კი, მისი სიტყვის სუსხი ბევრმა დამსახურებულად იწვნია;

კი, არაერთი თავმედიდი, გუდაფშუტა კაცი შეაჩერა;

კი, არაერთ უგვანს იერარქიულ კიბეზე ცოცვა შეაწყვეტინა;

კი, თავადაც მოიფხანა გული და ხალხსაც ბევრჯერ მოფხანა.მაგრამ, სანაცვლოდ?..

წარმოუდგენელია ბოროტების ბუდედ ქცეულ სახელმწიფო მანქანასთან ბრძოლა. ერთი კია, ბატონი თეიმურაზი ამ საშინელი ურჩხულის (რომელმაც ლამის მთელი ქვეყანა ჩამოფქვასძ კბილანების გულისწამღებ ღრჭიალს არ შეუშინდა. მუქარაზე წამოსულ მუქარას ყური არ ათხოვა და შეინარჩუნა მისაბაძი პოლემისტის სახელი და ავტორიტეტი.

თავისუფალი ადამიანია.

თავად დაუდგინა საკუთარ თავს ფიქრისა და ქცევის სახელმძღვანელო მორალური კანონები. ზნეობრივია და ღრმად სწამს, რომ სამყაროსაც საფუძვლად მორალური წესრიგი უდევს.

ინსტიქტური სიკეთე, ინსტიქტური რწმენა აბსურდია, ამბობს ბატონი თეიმურაზი, არსებობს მორალი და, მაშასადამე, არსებობს რწმენა. თუ რწმენით ვიცხოვრებთ, ბუნებრივია, შევძლებთ აბსოლუტთანაც მიახლოებას.

სიყვარულის ხსენება დაავიწყდა.

რასაც აკეთებს, რწმენით, ადამიანის რაინდული სიყვარულით აკეთებს. თავისი პუბლიკაციებით ცდილობს, ეს უკანასკნელი გაარიდოს ტექნოლოგიურ ჯურღმულებს, აქეთ-იქით წანწალსა და ხეთქებას მიჩვეული შეაყოვნოს და დააფიქროს.

ადამიანის ამაღლებაზე პრეტენზია კანონზომიერად მიაჩნია და, მისი აზრით, ეს სულაც არაა სინამდვილისადმი შეუსაბამო და ილუზორული.

ეთიკა, მორალი, ზნეობა...

თეიმურაზ ქორიძე ზუსტად ავლებს ხაზს ეთიკურობასა და არაეთიკურობას, ზნეობასა და უზნეობას შორის. და ეს მაშინ, როდესაც სიბნელემ და სიბეცემ თავისი დონდლო კიდურები ლამის ყველგან და ყველაფერში ჩაჰყოს, როდესაც არც პესიმიზმისთვის რჩება ადგილი და არც ოპტიმიზმისთვის. როდესაც „ეგზისტენციურ კრიზისს“ ეროვნული ფესვებიდან მოწყვეტაც ემატება.

სად არის ქართველი, რას ფიქრობს, რას აკეთებს?

როგორ გამოვა ის ამ დახშული და დაღრუბლული სოციალური ყოფიდან? — კითხულობს პუბლიცისტი და იქვე აგრძელებს, — ნუთუ ყველანი დავიცალეთ სულიერი ღირებულებებისაგან, ნუთუ მარტო „ხორცში“ ჩაფლული და ჩაძირული ადამიანების მყიფე ერთობას წარმოვადგენთ, ნუთუ ჩვენი ქვეყანა ერთი დიდი აბსურდის თეატრი გახდა...

თეიმურაზ ქორიძე არსად „ჩქარობს“, მუდამ „სცალია“. მისთვის მთავარი ყოფიერების წვდომა და გაგებაა. კომფორტი წიგნია და სამუშაო მაგიდა, ჭიქა ყავა და სიგარეტი. კომფორტი დიალოგია, საგანთა და მოვლენათა არსში სრულფასოვანი წვდომის სასიამოვნო შეგრძნებაა. კომფორტი მისთვის ჭიქა ღვინოცაა, — გულიანი მამა-პაპური სუფრა. და ვადღეგრძელებ.

ბატონო თეიმურაზ, ქართული პუბლიცისტიკის კახაბერი ბრძანდებით. ალავერდს კი ბატონ არჩილ გოგელიასთან გადავალ, რომელმაც გიპოვა და კალამი ხელში აგაღებინა.

**ბადრი ცირამუა**

## ⊙ ჯანმრთელობა

### სილამაზის დიეტა

**ქალებს უნდათ, რომ ლამაზები იყვნენ არა მხოლოდ 3 მარტს — დედის დღეს და 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს, არამედ მთელი წლის განმავლობაში.** ამის მიღწევა შეიძლება არა მხოლოდ ძვირფასი (ამ სიტყვას ხაზგასმით ვამბობთ მისი ორმაგი მნიშვნელობის შესაბამისადძ კოსმეტიკით, არამედ საკუთარი რაციონის დაბალანსებითაც. აი იმ პროდუქტების ნაკრები, რომელიც უნდა იყოს თითოეული ლამაზმანის მენიუში.

### იოგურტი

**თუ მოზარდის ასაკი დიდი ხნის წინათ გაიარეთ, მუწუკები კი დაგრჩათ, სავსებით მოსალოდნელია, რომ თქვენს კუჭ-ნაწლავში მიკროორგანიზმები საკმაო ოდენობით არაა. თუ იოგურტის ჭიქას აწერია „ბიო“ ან „ცოცხალი“, მაშასადამე, მათში არის სასარგებლო ბაქტერიები. და საჭიროა, რომ გამოიყენოთ იოგურტი დანიშნულების მიხედვით მაშინვე. ცოცხალი იოგურტი დიდხანს არ ინახება, არა უმეტეს ერთი თვისა, ორიდან ექვს გრადუსამდე ტემპერატურაში.**



იოგურტის სიცოცხლისუნარიანობის გაგრძელება შეიძლება ან კონსერვანტების დახმარებით, რომლებიც ძირშივე ხოცავენ ყველა სასარგებლო ბაქტერიას, ან „ცოცხალი“ იოგურტის კარგად წამოდუღებით. თუმცა მაღალი ტემპერატურით გამოცდის შემდეგ მასში არც ერთი სასარგებლო მიკრობი აღარ რჩება. ბიოიოგურტების წარმოების დროს რძეს აცხელებენ 80 გრადუსამდე. ასეთი ტემპერატურა ბაქტერიებს სიცოცხლეს უნარჩუნებს. აქედან — მისი შენახვის მოკლე ვადაც. თუ დამუშავების პროცესში რძე უფრო მეტად გააცხელეთ, სასარგებლო მიკრობები დაიღუპებიან, სამაგიეროდ იოგურტი გაძლებს რამდენიმე თვის განმავლობაში უმაცივროდაც კი. მიაქციეთ ყურადღება შეფუთვას. თუ მას აწერია „პასტერიზებული“, „სტერილიზებული“ ან „ხანგრძლივი შენახვის იოგურტი“, კუჭ-ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორის გამდიდრებას ამით ვერ შეძლებთ.

### გრეიპფრუტი



**გრეიპფრუტის მოყვარულები უმეტესად არიან ისინი, ვინც ყურადღებას აქცევენ თავიანთ ფიგურას. რამდენიმე ლებანი ჭამის შემდეგ ანადგურებს იმ კალორიების თითქმის ნახევარს, რაც მიიღეთ ჭამის დროს. სწორედ ამ თვისების წყალობით, დიეტოლოგები გვირჩევენ ჩავრთოთ გრეიპფრუტი მსუქნების რაციონში. მით უმეტეს, რომ ამ ხილით თითქმის ვერასოდეს „გაძღებით“ — ერთ კილოგრამ გრეიპფრუტში სულ რაღაც 90 კალორიაა და სხვა ციტრუსებისგან განსხვავებით, გრეიპფრუტი პრაქტიკულად არასოდეს იწვევს ალერგიას.**

ხოლო თუ მიზნად ისახავთ, რომ გქონდეთ არა მხოლოდ მოხდენილი თეძოები და კარგი განწყობილებაც მთელი დღის განმავლობაში, დილიდანვე მიირთვით ნახევარი გრეიპფრუტი, ზედ თხლად შაქრის ფქვილი მოაყარეთ: ამ ხილს აქვს უნიკალური უნარი — მოგვანიჭოს სიმხნევე და დადებითი ემოციები.

ევრო — 2012

# კალენდარიც გვედირსა




**ხომ გაგიგონიათ, არ არსებობს კარგი და ცუდი ღვინო, არიან კარგი და ცუდი მსმელებიო.**

ასეა ჩვენი ეროვნული ნაკრების საქმეც — როგორი კალენდარიც არ უნდა გამოგვიცხონ, თუ თემურ ქეცბაიამ გუნდი მომავალი შესარჩევი ტურნირისთვის სათანადოდ არ მოამზადა, კიდევ ერთი იმედგაცრუება გველის. იმედი ვიქონიოთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის თანადგომით ბიჭები ამჯერად მაინც გაახარებენ მრავალრიცხოვან ქომაგებს და ღირსეულად დაასრულებენ დამდეგ ბატალიებს.

ახლა კი გაეცანით ევრო — 2012-ის შესარჩევი მატჩების განრიგს, რომელიც უეფამ შეიმუშავა და თელ-ავივში მიმდინარე კონგრესზე გამოამზეურა.

**2010 წელი**

**3 სექტემბერი.** საბერძნეთი — საქართველო, ისრაელი — მალტა, ლატვია — ხორვატეთი.

**7 სექტემბერი.** საქართველო — ისრაელი, ლატვია — მალტა, ხორვატეთი — საქართველო.

**8 ოქტომბერი.** საქართველო — მალტა, საბერძნეთი — ლატვია, ისრაელი — ხორვატეთი.

**12 ოქტომბერი.** ლატვია — საქართველო, საბერძნეთი — ისრაელი, ხორვატეთი — მალტა.

**2011 წელი**

**26 მარტი.** საქართველო — ხორვატეთი, ისრაელი — ლატვია, მალტა — საბერძნეთი.

**29 მარტი.** ისრაელი — საქართველო.

**4 ივნისი.** ხორვატეთი — საქართველო, საბერძნეთი — მალტა, ლატვია — ისრაელი.

**2 სექტემბერი.** საქართველო — ლატვია, ისრაელი — საბერძნეთი, მალტა — ხორვატეთი.

**6 სექტემბერი.** მალტა — საქართველო, ლატვია — საბერძნეთი, ხორვატეთი — ისრაელი.

**27 ოქტომბერი.** საბერძნეთი — ხორვატეთი, ლატვია — მალტა.

**11 ოქტომბერი.** საქართველო — საბერძნეთი, ხორვატეთი — ლატვია, მალტა — ისრაელი.

ფეხბურთი

# ყოჩაღ, ბიჭებო!



**წარმატებით აიღო სტარტი ჩეხეთში დაწყებულ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში საქართველოს ნაკრებმა.**

გიორგი დევდარიანის შეგირდებმა მასპინძლებს სძლიეს — 1:0 და დიდი ნაბიჯი გადადგეს ფინალური ეტაპისკენ, სადაც შესარჩევი ჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო მეორეადგილოსანი ითამაშებენ. გადამწყვეტი გოლი მე-40 წუთზე ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა.

ასევე 3 ქულით ჩაება ტურნირში მთავარი ფავორიტი ჰოლანდიის გუნდი, რომელმაც უკრაინელებს მოუგო — 2:0.

**დღეს ჭაბუკი „ჯვაროსნები“ სწორედ „ტიტების ქვეყნის“ ქვეშევრდომებს შეხვდებიან.**

ჭადრაკი

# საგზურები განაწილდა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 12 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 114 წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

გოგონებში ნინო ხომერიკმა იყოჩაღა, რომელმაც ცხრა შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და სხვებისთვის მიუწვდომელი ალმოჩნდა. 7 ქულით მეორე ადგილზე ნინო გურგენიძე გავიდა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები თეა ჭოლაძემ და ანა თედორაშვილმა გაინაწილეს.

ვაჟებში 7,5 ქულით ჩემპიონობა ნიკა ღვამბერიამ მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ გიორგი სიბაშვილი, ლუკა ლიჩელი და ვანო ოქრუაშვილი, რომლებსაც, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები ხვდათ. ეს შეჯიბრება შესარჩევი ტურნირიც იყო. ჩემპიონები — ხომერიკი და ღვამბერია მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ, ხოლო ვერცხლის პრიზიორები — გუმბერიძე და სიბაშვილი ევროპელ თანატოლებთან მოსინჯავენ ძალებს.






**სურათებზე: ასპარეზობის მომენტები**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

კალათბურთი

# „ოთხთა ფინალის“ ზღურბლთან

**წლევანდელმა ევროლიგამ საკალათბურთო სამყაროს რამდენიმე ახალი ვარსკვლავი გააცნო. ერთ-ერთმა მათგანმა — სერბმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანტე ტიმოჩმა პირადად გადაწყვიტა მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩის ბედი, როცა მადრიდის „რეალის“ მიერ „ბარსელონასთან“ სტუმრად გამართულ ბრძოლაში პარტნიორებს მთელი მონაგრის თითქმის მესამედი — 22 ქულა მოუტანა და პრინციპული შეხვედრა მოაგებინა — 70:63.**




ამ გამარჯვებით „სამეფო კლუბმა“ საერთო ანგარიში გაათანაბრა — 1:1 და მომდევნო ორ დუელში უკვე თავად უმასპინძლებს მრისხანე მეტოქეს.

ანალოგიურად ვითარდება მოვლენები თელ-ავივის „მაკაბისა“ და ბელგრადის „პარტიზანის“ წყვილში, რომელშიც ებრაელებმა ვიშნევსკისა და ბლუტენტალის (17-17 ქულაძ ძალისხმევით დამაჯერებელი რევანში აიღეს — 98:78 და ახლა უკვე ბალკანეთში შეეცდებიან „ოთხთა ფინალის“ საგზურის მოპოვებას.

რაც შეეხება დანარჩენ პლეიოფებს, მათ „ოლიმპიაკოსისა“ და ცსკა-ს სახით გამოკვეთილი ფავორიტები ჰყავს და თუ გავითვალისწინებთ, რომ 2:0 დაწინაურდნენ, არ უნდა გაუჭირდეთ უძლიერესთა კვარტეტში მოხვედრა.

ბერძენთა გამარჯვებაში პოლონურ „პროკომთან“ — 90:73 დიდი წვლილი შეიტანეს ლიტველმა ლეგიონერმა კლეიზამ (26 ქულაძ და პაპალუკასმა (20 ქულაძ, ხოლო არმიელებმა გუნდური თამაშის კლასიკური გაკვეთილი ჩაუტარეს ბასკურ „ტაუგრესს“ — 83:63.

ჭიდაობა



## ოლიმპიური ჩემპიონის სახელობისა

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურისა და სასპორტო სკოლის ინიციატივით რაიონის კულტურის სახლში ოლიმპიური ჩემპიონის რომან რურუას სახელობის ტურნირი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 11 რაიონისა და ქალაქის ნორჩი ფალავნები მონაწილეობდნენ.** ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: გივი ლოლაძე (ქუთაისიძ, ვასილ ხაჩიძე (ბორჯომიძ, ნუგზარ წურწუმია (ხობიძ, საბა ბაბილუა, ვალერი ტორჩინავა, ავთანდილ ჯოჯუა, ბაკურ გოგოლი (ყველა სენაკიძ, ჯონი გოგუა (ჩხოროწყუძ, ბაკურ შენგელია (ხობიძ, ოთარ კუჭუხიძე (აბაშაძ, იპოლიტე ქანთარია (ხობიძ, დათა ნაროუშვილი (ჩხოროწყუძ და თემურ კაპანაძე (ქუთაისიძ.

რომან რურუამ და ჩხოროწყუს გამგებელმა მერაბ შელიამ გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველი ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს 100-100 ლარიც გადასცა.



**თეა ტყებუჩავა**

**ჩხოროწყუ.**

**სურათებზე: ჭიდაობისა და დაჯილდოების მომენტები.**

ინტერნეტიდან

## რატომ აჯობეს რუსმა პარალიმპიელებმა ოლიმპიელებს?




**ეს კითხვა შემთხვევით არ წამოიჭრა. ვანკუვერში დამთავრებულ პარალიმპიურ თამაშებზე რუსეთელებმა მოიპოვეს 38 მედალი — 12 ოქროსი, 16 ვერცხლის, 10 — ბრინჯაოს. წინ გაუშვეს მხოლოდ გერმანიის ნაკრები, რომელმაც ერთი „ოქროთი“ მეტი მოიპოვა, თუმცა საერთოდ მედლები მხოლოდ 24. რუსი ოლიმპიელები კი მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზე გამოვიდნენ.**

შეზღუდული შესაძლებლობის სპორტსმენების ასეთმა აღზევებამ გამოიწვია კითხვა, თუ როგორ აჯობეს მათ სრულიად ჯანმრთელებს, რასაკვირველია, მათი შესაძლებლობანი არსებითად განსხვავდებოდა, მაგრამ შემართება და თავდადება სხვადასხვაა.

თანაც ამ უკანასკნელ თამაშებზე რუსებს გაცილებით მეტი გმირები ჰყავდათ, ვიდრე წინაზე. მაგალითად, ირეკ ზარიპოვმა სათხილამურო რბოლებსა და ბიატლონში ოთხი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. გამოითქვა მოსაზრება, პარალიმპიელებმა იმიტომ ხომ არ გაიმარჯვესო, რომ ოლიმპიელებს უზარმაზარი თანხა დაახარჯეს, ხოლო დაპირებულმა გიგანტურმა პრემიებმა გადაფარეს სპორტის სულისკვეთება, დაჩრდილეს დროშის ღირსებაც და გამარჯვების სიხარულიც?

ამავე დროს პარალიმპიელებისთვის შეჯიბრებებში ვანკუვერში პირველ რიგში იყო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა იმ არარაობიდან გამოსვლა, რუსეთში ინვალიდები რომ იმყოფებიან.



## წიწაკის გაზი ფეხბურთელის წინააღმდეგ

**პოლიციამ გამოიყენა წიწაკის გაზი ფეხბურთელის წინააღმდეგ, როდესაც მან უარი თქვა მინდვრის დატოვებაზე ბრაზილიის ერთ-ერთ დაბალ ლიგაში გუნდების „გენუსისა“ და „მოტო კლუბის“ მატჩის დროს. „გენუსის“ ფეხბურთელს რობსონს წითელი ბარათი აჩვენეს უხეში დარღვევებისთვის, მაგრამ მან უარი თქვა მინდვრის დატოვებაზე. თანაც მას ოთხი თანაკლუბელი გამოექომაგა. მსაჯმა, რობსონი რომ არ დაემორჩილა, პოლიციას გამოუძახა დასახმარებლად. წესრიგის დამცველები მინდორზე გავიდნენ ფარებით და ხელკეტებით, ბოლოს კი წიწაკის გაზიც გამოიყენეს, რადგან ფეხბურთელი მათაც არ დაემორჩილა. მატჩი შეწყდა და მას შემდეგ გადაითამაშებენ.**

„გენუსის“ ექვსმა მოთამაშემ და მთავარმა მწვრთნელმა ამ ინციდენტის შემდეგ კლუბი დატოვეს.

„ის, რაც მოხდა, სირცხვილია! — განაცხადა რონდონიას შტატის ვიცე-გუბერნატორმა ჟოაო კახულამ, — ჩვენ ძალზე ვწუხვართ მომხდარზე, ფეხბურთი ფეხბურთელებმა უნდა ითამაშოს და არა — პოლიციამ. თუკი პოლიციელებმა გადააჭარბეს უფლებამოსილებას, მაშინ ისინი კანონის მთელი ძალით დაისჯებიან“.

## ესეც შენი ევროპა!

**როგორც ცნობილი გახდა, გერმანიის ქალაქ კიოლნში საგარეო საქმეთა მინისტრის გიდო ვესტერველეს პატრონატობით გაიმართება არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა დიდი სპორტული შეჯიბრებები.**




გერმანიის საგარეო უწყების შეფი საჯაროდ ლაპარაკობს თავის ჰომოსექსუალურობაზე თავისსავე მეგობარ მიხაელ მრონცთან ერთად. ამ შეჯიბრებების პატრონატობის თავის თავზე აღებით ვესტერველემ დაადასტურა „თავისი ტოლერანტობა“ და თანხმობა არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლების თანამედროვე საზოგადოებაში მიღებაზე.

ასეთი დიდი შეჯიბრება Gay Games ყოველ ოთხ წელიწადში ტარდება. ახლა მას კიოლნი მიიღებს 31 ივლისიდან 7 აგვისტომდე. ფიქრობენ, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს 12 ათასი სპორტსმენი. შეჯიბრებათა პროგრამაში იქნება ფეხბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, ბოდი ბილდინგი, ბოულინგი და გოლფი. პირველად ასეთი თამაშები გაიმართა 1982 წელს სან-ფრანცისკოში. ახლა ის მერვედ გაიმართება.

## გამოსათხოვარი

# აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა.

ცოტნე მირცხულავა დაიბადა 1920 წლის 25 ივლისს ქ. ფოთში. 1939 წელს დაამთავრა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1942 წლიდან მუშაობა დაიწყო „საქნავთის" სისტემაში, სადაც განვლო გზა ათისთავიდან ტრესტის მმართველის მოადგილის თანამდებობამდე – მშენებლობისა და პროექტირების საკითხებში.



1954 წლიდან ც. მირცხულავა სამუშაოდ გადადის საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ კი ჰიდროტექნიკის განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1968 წლიდან 2005 წლამდე იგი საქართველოს წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამინდელი წყალთა მეურნეობის ინსტიტუტისძ დირექტორია.

1960 წელს ც. მირცხულავამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი ცოტნე გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ბატონი ცოტნეს სამეცნიერო ინტერესების სფერო საკმაოდ ფართოა. იგი ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის დარგში მთელი რიგი ახალი სამეცნიერო მიმართულებების ფუძემდებელი გახლდათ. მაგალითად, მის მიერ იქნა დაფუძნებული სამეცნიერო მიმართულება „ჰიდროტექნიკისა და ჰიდრომელიორაციული ნაგებობებისა და სისტემების საიმედოობა".

ც. მირცხულავამ დიდი წვლილი შეიტანა ნიადაგებისა და გრუნტებისათვის წყლის ნაკადის გამრეცხი სიჩქარეების დადგენისა და ამ საკითხებში ინჟინრული თეორიის საფუძვლების შექმნის საქმეში. მისივე ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ორგანიზებულ ლაბორატორიაში ჩატარებული ჰიდრავლიკური კვლევები საფუძვლად დაედო საპროექტო გადაწყვეტილებებს. აკადემიკოს ც. მირცხულავას კვლევების შედეგები შესულია საკავშირო ნორმატიულ დოკუმენტებში.

დიდია ც. მირცხულავას შრომების მნიშვნელობა ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის პროგნოზირების და მასთან ბრძოლის მეთოდების დამუშავების საქმეში.

ც. მირცხულავას გამოქვეყნებული აქვს 600-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 26 მონოგრაფია. მრავალი შრომა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის გამოცემებში. მაგალითად მისი 2 მონოგრაფია გადათარგმნილ და გამოცემულ იქნა ინგლისურ ენაზე როტერდამში და დელფტაში (ნიდერლანდებიძ. გამოცემული შრომების ციკლის გამო მას ერთ-ერთ პირველთაგანს მიეკუთვნა ა. კოსტიაკოვის სახელობის ოქროს მედალი.

ც. მირცხულავას, როგორც მაღალი ავტორიტეტის მქონე მეცნიერის აღიარება იყო ის, რომ 1973წ. მიწვეულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ექსპერტად. წყალდიდობებთან ბრძოლის საერთაშორისო პროგრამასთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს იგი მიწვეულ იყო ლექციების ციკლის წასაკითხად შვეიცარიაში, ინდოეთსა და პოლონეთში.

აკადემიკოსი ც. მირცხულავა აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში. იგი იყო ჰიდრავლიკური კვლევების ასოციაციის და ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო ორგანიზაციების ნაციონალური კომიტეტების წევრი, ჰიდრავლიკური კვლევის საერთაშორისო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, რომელიც გამოიცემა ნიდერლანდებში.

ც. მირცხულავა გახლდათ მთელი რიგი სამეცნიერო-ტექნიკური და სპეციალიზებული საბჭოების წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

აკადემიკოს ც. მირცხულავას გარდაცვალება უაღრესად დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის და მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

---



გურამ ვარშალომიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, გაეროს სამეცნიერო ექსპერტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, შესანიშნავი მოქალაქე, ჭეშმარიტი პატრიოტი, შეუდარებელი პედაგოგი, რომლის ხელმძღვანელობითაც მრავალი სახელმოხვეჭილი მეცნიერი აღზრდილა, რომლებიც ახლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წყალთა მეურნეობის დარგს ხელმძღვანელობენ, საუცხოო მეგობარი, მამა, მეუღლე და ბაბუა

ცოტნე მირცხულავა

და გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ფაზისის საერო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ აკადემიის პრეზიდენტი, მსოფლიოში სახელგანსმენილი მეცნიერი, აკადემიკოსი

ცოტნე მირცხულავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდიუმი

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი

ცოტნე მირცხულავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

ცოტნე მირცხულავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

ცოტნე მირცხულავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გ. ჩოგოვაძის სახ. საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი ათეული წლების განმავლობაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ცოტნე მირცხულავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## ხსოვნა

# ნათელა ფაილოძე



ბედნიერი ჟურნალისტი იყო ქალბატონი ნათელა ფაილოძე – მისი მასალები სწავლა-აღზრდის საკითხებზე ბავშვობის ასაკიდან მიჰყვებოდა მკითხველს – გულს უთბობდა, გონებას უნათებდა... იგი ხომ მრავალი წელი მოღვაწეობდა გაზეთებში „სახალხო განათლება", „ნორჩი ლენინელი (მოგვიანებით „ნერგი" რომ დაერქვაძ, ბოლოს კი ჩვენს გვერდით იდგა „საქართველოს რესპუბლიკაში" და დიდი ქალობის, დიდი ოჯახისშვილობის, მზრუნველი დედის, შესანიშნავი პროფესიონალისა და მეგობრის მისაბაძ მაგალითს აძლევდა ირგვლივ მყოფთ, მეტადრე, ახალგაზრდობას...

ქალბატონი ნათელას წერილები ჩვენი საშუალო თუ უმაღლესი სკოლის საჭირბოროტო საკითხებზე, ჩანახატები თუ პორტრეტები ამაგდარ პედაგოგებზე, საკითხის ღრმა ცოდნით, ნიჭიერებით, სიახლის გრძნობით იყო გაჯერებული და წერის ლაპიდარული სტილი ამშვენებდა...

ერთი შესანიშნავი თვისებაც ჭეშმარიტი ჟურნალისტისა ხანდაზმულობამდე გაჰყვა ქალბატონ ნათელას – ყოველ დილით კოლეგიაზე იგი დაწვრილებით ინიშნავდა ხოლმე სარედაქციო დავალებებს და ისე სწრაფად, ისე მოუღლელად, ისე ოპერატიულად ასრულებდა ყოველივეს, თითქოს ახლა იწყებსო თავის გზა-სავალს.

არადა გასრულდა უკვე ამ კეთილშობილი კოლხი ქალბატონის გზა-სავალი... დამაშვრალი წავიდა იგი, თავისი ქვეყნის, ოჯახის, საქმის წინაშე ვალმოხდილი წავიდა და სევდა დაგვიტოვა თავის მეგობრებსა და კოლეგებს.

ნათელი დაგადგეთ, ქალბატონო ნათელა!

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია

---

საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, უსათნოესი ადამიანი, ჩინებული მეუღლე და დედა

ნათელა ფაილოძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი

ბენედიქტე ბალავაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

### განცხადება

სს „ენისელ-ბაგრატიონი" აცხადებს აქციონერთა კრება 2010 წლის 19 აპრილს, 14 საათზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. №41.

დღის წესრიგი:

1ძ 2009 წლის მუშაობის შედეგები;
2ძ ცვლილება საწესდებო კაპიტალში.

სს „ენისელ-ბაგრატიონის" დირექცია

---

### ინფორმაცია

## „თი-ბი-სი" ყოფილ თანამშრომლებს ადანაშაულებს

**ელიტ ელექტრონიქსის ყოფილი თანამშრომლები კომპანიის ახალ მენეჯმენტს ადანაშაულებენ და განცხადებას ავრცელებენ.**

ელიტ ელექტრონიქსის მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ თი-ბის-ის მენეჯმენტი აცხადებდა, რომ კომპანიაში არანაირი კრიზისი არ არის და კომპანია კარგად და სრულფასოვნად იმართებოდა. ამის ფონზე კი ელიტ ელექტრონიქსის ახალი თი-ბი-სის მენეჯმენტი აცხადებს, რომ 15 მარტს ვერ შეძლეს თი-ბი-სი ბანკის კრედიტის დაფარვა და ამის შემდგომ კომპანიის კრიზისულ მდგომარეობას ყოფილ თანამშრომლებს აბრალებს, – ნათქვამია განცხადებაში.

კომპანიის ყოფილი თანამშრომლების მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ, – 25 მარტს როდესაც უკვე აშკარა გახდა, რომ თი-ბი-სის ამ სფეროში გამოუცდელი მენეჯმენტი ველარ მართავდა კომპანიას, როდესაც გაყიდვების და მოგების მაჩვენებლები თებერვალთან შედარებით გაუარესდა, თი-ბი-სიმ კომპანიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით თავის გასამართლებლად ყოფილ თანამშრომლებზე ბინძური ბრალდებების დეზინფორმაცია გაავრცელა.

კომპანიის ყოფილი თანამშრომლების განცხადებით, თი-ბი-სი ცდილობს თავისი სუსტი მენეჯმენტი გადააბრალოს ყოფილ თანამშრომლებს.

შეგახსენებთ, რომ 23 თებერვალს 21:30 სთ-ზე თი-ბის-იმ გადააყენა ელიტ ელექტრონიქსის მენეჯმენტი და თვითონ აიღო მმართველობა, რის შემდეგაც სათაო ოფისის 60-მა თანამშრომელმა დატოვა სამსახური, ხოლო ბათუმის 120 თანამშრომელმა გამოაცხადა უნდობლობა და გაიფიცა.

ჯი-ეიჩ-ენი

---

### განცხადება

ა/წლის 15 აპრილს შედგება ს/ს თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის საანგარიშო კრება 18 საათზე.

დღის წესრიგი:

1. 2009 წლის ანგარიში;
2. ს/ს წესდებაში ცვლილების შეტანა.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №47.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.

## სულიერება

# ლაზარეს შაბათი

**27 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ლაზარეს შაბათს აღნიშნავს.**

ყოველი ერი თავის ენაზე ადიდებს ღმერთს, მაგრამ არც ერთ ერს არ მიუნიჭებია საკუთარი ენისთვის სიცოცხლე მხოლოდ ღვთის დიდებისათვის.

ქართველი ერი აქებს და განადიდებს თავის ენას ღვთის სადიდებლად და სწამს, რომ ღმერთი აკურთხებს მაკურთხეველთა მისთა, სჯერა, რომ ქართული ენა ღვთაებრივი ცეცხლისგან ანთებული ჩირაღდანივით ნათლის მომფენიც იქნება და ბოროტების დამწველიც.

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვაკურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და აღნიშვნის დღედ განაჩინა **ლაზარეს შაბათი.**

ამით ოფიციალურად აღიარებულია მართლმორწმუნე ქართველი ერის მისტიკური ჭვრეტისა და სურვილის იდუმალი ხმა: არასდროს უღალატოს მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებას და უფლის მიერ გაცოცხლებული ლაზარეს მსგავსად, ყველაზე ცხოველ მოწმედ დაუდგეს ქრისტეს ღვთაებრიობას.

# ბზობა — ბაიაობის კვირა

## იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში





**28 მარტს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას, ანუ ბზობას უწოდებენ, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.**

იოანე მახარებელი ასე აღწერს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას: „ერი მრავალი, რომელ – იგი მოსრულ იყვნენ დღესასწაულსა მას რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალიმს, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისსა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელისა უფლისაითა მეფე ისრაელისაო!“

მაცხოვრის შესვლა იერუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზისძ რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს – ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

...იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეთ სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მტრებს – მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

## 27 მარტი

**ლაზარეს შაბათი. ქება და დიდება ქართულისა ენისაი. ღირსისა ბენედიქტესი (543ძ; ევსქიმონ აღმსარებლისა, ლამპსაკიელი ეპისკოპოსისა (IXძ; თეოგნოსტესი, კიეველი და მოსკოველი მიტროპოლიტისა (1353ძ**



**ამოდის 05.52**
**ჩადის 18.20**



**ამოდის 04.57**
**ჩადის 15.56**

### დაიბადნენ:

**1845 – ვილჰელმ რენტგენი,** გერმანელი ფიზიკოსი, რომელმაც გამოიგონა მისი სახელით ცნობილი აპარატი. ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1923 წელს.

**1849 – ადოლფ შუბერტი,** ჩეხი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე. გარდაიცვალა 1915 წელს.

**1857 – ჩარლზ პირსონი,** ინგლისელი მათემატიკოსი, ბიოლოგი, ფილოსოფოსი, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი. გარდაიცვალა 1936 წელს.

**1871 – ჰაინრიხ მანი,** გამოჩენილი გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1950 წელს.

**1902 – ალექსანდრე ბარამიძე,** ლიტერატურათმცოდნე, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1992 წელს.

**1930 – გურამ თოფურია,** ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**1937 – თემურ (თემოძ ჯაფარიძე,** მხატვარი.

**1939 – იოსებ კეჭაყმაძე,** ქართველი კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

**1184 – გიორგი III,** საქართველოს მეფე.

**1770 – ჯიოვანი ბატისტა ტიეპოლო,** იტალიელი მხატვარი.

**1878 – ჯორჯ გილბერტ სკოტი,** ინგლისელი არქიტექტორი.

**1931 – არნოლდ ნენეტი,** ინგლისელი მწერალი.

### მოვლენები:

**1791** – ერეკლე II-ის სამეფო კარზე დაარსდა ქართული საერო თეატრი, რომელმაც 1795

წლამდე – აღა-მაჰმად ხანის შემოსევამდე იარსება.

**1978** – ეკრანებზე გამოვიდა გიორგი დანელიას ფილმი „მიმინო“.

**1990** – ლონდონში, ბეიკერ-სტრიტის 222 ნომერში გაიხსნა შერლოკ ჰოლმსის მუზეუმი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**თეატრის საერთაშორისო დღე.**

**ანგოლა** – გამარჯვების დღე.

**ბირმა** – შეიარაღებული ძალების დღე.

**მიანმა** – არმიის დღე.

**მედიანიუსი**

## შევეწიოთ!

**შენდება წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო**

სს „გაერთიანებული ტელეკომი“ 60-26-02
შპს „ახტელი“ 70-08-18
შპს „მაგთიკომი“ 20-03-20
შპს „ჯეოსელი“ 70-03-05
შპს „ბილაინი“ 20-03-33



ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

სს „თი-ბი-სი ბანკის“ ფოთის ფილიალი

ბანკის კოდი 220101937; ა/ა63636080100001; ს/კ 215141246, თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში – სხვადასხვა ქველმოქმედება – წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:

ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3, ტელ.: 8 (293ძ 70736
მობ: (899ძ936563, e-mail: eparqia-f@mail.ru

### განცხადება

**ქართული კომპანია იწვევს ქალბატონებს**

გაყიდვების მენეჯერის ვაკანსიაზე. თავისუფალი სამუშაო გრაფიკით. კომპანია ახორციელებს გამოცდილი მკურნალი ექიმისა და კოსმეტოლოგის მაღალი დონის მომსახურებას უნიკალური ტექნოლოგიების გამოყენებით.

**კომპანიის მენეჯერის ტელეფონები:** 39-30-05, 893-66-02-26.

### განცხადება

იყიდება ჭურჭლის სარეცხი მანქანა „სიმენსი, ლედი-45“, ფასი 300 ლარი. ტელ. 858 12 88 60.

**„ოჯახის მკურნალი“**

ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა

რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.

www.alashvili.com

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

პრეზიდენტის პოსტი უნიკალური თანამდებობაა, რომელიც თავის თავში ორ პარადოქსულ რამეს აერთიანებს: ერთდროულად მაფიის ხელმძღვანელობასაც და ამ მაფიისგან ქვეყნის დაცვასაც.

* * *

თუ გინდათ, რომ თქვენი ღირსება არ გათელონ, იგი არ უნდა დაკარგო.

* * *

თუ დღეს ადამიანს ჰკითხავთ, როგორ ხარო, და ის გიპასუხებთ, ნორმალურადო, იცოდეთ, რომ იგი თქვენ არ გენდობათ...



* * *

ვინც ვანკასთან მჟავე კიტრით მივა, ის მიიღებს ას გრამ არაყს.

* * *

რეკლამა:

– მიატოვეთ სმა?!
– სიგარეტს არ ეკარებით?!
– მეგობრები და თანამშრომლები თავს გარიდებენ?!

მხოლოდ თქვენთვის!!! ახალი კბილის პასტა „ყველაფერი ერთში“ დაგეხმარებათ თავდაჯერებულობის დაბრუნებაში!!! გუშინდელი ნაბახუსევისა და ნიკოტინის ნარევის განუმეორებელი სურნელი!!! ახლა კვლავ შინაური ხართ შინაურებში!!!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.